



აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო ნაშრომი

თეიმურაზ კობლიშვილი

„მოსამართლის უფლებამოსილება შეჯიბრებით სისხლის
სამართლის პროცესში“

ხელმძღვანელი: ბესიკი მეურმიშვილი

თარიღი 23.08.2020

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
2020 წელი

ანოტაცია

სისხლის სამართლის პროცესის მიზანია სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება, რაც პროცესში მონაწილე მხარეების მიერ მიიღწევა. თუმცა იმისათვის, რომ მიზანი მიღწეულ იქნეს აუცილებელია პროცესის მონაწილეებს მინიჭებული ჰქონდეთ ის უფლებები და ვალდებულებები რაც პროცესის სამართლიანად და კანონიერად დასრულებას შეუწყობს ხელს.

ნაშრომში „მოსამართლის უფლებამოსილება შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში“, განხილულ იქნება საქართველოს სისხლის სამართლის მოსამართლეთა უფლებები და ვალდებულებები, მის კვალდაკვალ ასევე განვიხილავთ პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებებსა და ვალდებულებებს.

ძალიან მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის კანონმდებლობა ისე იყოს ჩამოყალიბებული, რომ პროცესის ყველა მონაწილეს მიეცეს სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანაში მონაწილეობის უფლება.

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით კი მოსამართლის უფლებამოსილება შეზღუდულად გამოიყურება, რითაც შესაძლოა პროცესის მონაწილე ერთ-ერთმა მხარემ ისარგებლოს და გამოიყენოს თავის სასარგებლოდ, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო პროცესის მსველობისას შესაძლოა ვერ აღსრულდეს სამართლიანობა გამომდინარე იქედან, რომ მოსამართლეს სხვაგვარად მოქმედების საშუალება არ გააჩნია.

მოსამართლე დღევანდელი სსსკ-ის მიხედვით ასრულებს არბიტრის როლს, რაც გარკვეულწილად გამართლებულია, თუმცა ზღვარის გადება ძალიან მნიშვნელოვანია, რათა ერთ მხრივ მოსამართლის უფლებების გაფართოებამ შეჯიბრებითობისა და თანასწორობის

პრინციპის დარღვევა არ გამოიწვიოს. ხოლო შემცირებით, სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანას არ შეექმნას საფრთხე.

მოსამართლის ფუნქცია, რომელიც სამართლიანობის აღსრულებას ემსახურება არ უნდა იქნეს შეზღუდული ხოლო ეს ყოველივე გამართლდეს იმით, რომ მხარეები სარგებლობენ შეჯიბრებითობის პრინციპით და ისინი თავად წყვეტენ თუ სააბლოოდ რა შედეგი დადგება, იქნება ეს მათთვის სასურველი (დადებითი) თუ არასასურველი.

მაშასადამდე სსსკ-ის აღნიშნული პრინციპის დარღვევად არ შეიძლება მივიჩნიოთ მოსამართლის მიერ საგამონაკლისო წესით სასამართლო პროცესში ჩარევა, (რაც, რათქმაუნდა უნდა დასაბუთდეს მოსამართლის მიერ) და არსებული უთანასწორობის აღმოფხვრა, რაც თავის მხრივ თანასწორობის პრინციპს ემსახურება.

ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც საჭირო ხდება მოსამართლის ნაწილობრივი ჩართულობა, რისთვისაც საჭიროა საპროცესო კოდექსში შევიდეს გარკვეული ცვლილებები, რომლის საფუძველზეც შედარებით მარტივი გახდება, მოსამართლის მიერ კითხვის დასმის მეშვეობით გარკვეული დეტალის დაზუსტება და ეს არ უნდა იყოს დამოკიდებული მხარის ნებართვაზე შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული შებოჭვა არამართო მოსამართლის სტატუსს აკნინებს, არამედ მის პროფესიულ შესაძლებლობებს ასუსტებს, რაც მიუღებელია. მოსამართლის მიერ მიღებული განაჩენი არ უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ შინაგან რწმენასა და ინტუიციას, როდესაც არსებობს გასარკვევი დეტალები და პასუხგაუცემელი კითხვები, ხოლო კითხვას არავინ არ სვამს, ვინაიდან ეს მის ინტერესებში არ შედის.

თემის მიზანია მართლმსაჯულების აღსრულებისთვის და სამართლიანი განაჩენის გამოტანისთვის იმ შეზღუდვების აღმოფხვრა,

რომელიც მოსამართლეს პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ხელს უშლის და ურთულებს გადაწყვეტების მიღებას. ყურადღება გამახვილდება შეჯიბრებითობისა და თანასწორობის მნიშვნელობაზე, საუბარი იქნება ამ პრინციპის არა აბსოლუტურობაზე რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ საგამონაკლისო წესით, (რომელიც მოსამართლის მიერ უნდა დასაბუთდეს) გადახვევას, ვინაიდან უთანასწორობა აღმოიფხვრას. მოხდება სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და წამოჭრილი პრობლემების მოგვარებისთვის გზების ძიება.

სისხლის სამართლის პროცესში მნიშვნელოვანია, როგორც მხარეთა თანასწორობა ასევე მოსამართლის როლი, თუმცა ის გარკვეულწილად შეზღუდულია და ასრულებს სასამართლო პროცესის წარმართვის ფუნქციას მაგრამ ეს ისე არ უნდა განხორციელდეს, რომ გამომდინარე იქედან, რომ მოსამართლეს არ აქვს პროცესში ჩართვის უფლება, მხარეებს შორის დაირღვეს თანასწორობა, შესაბამისად თუ იმ ასპექტით უნდა შესრულდეს შეჯიბრებითობის პრინციპი, რაც მასში მოიაზრება, მაშინ აშკრად ირღვევა თანასწორობის პრინციპი, რადგან თუ მხარეებს შორის დაირღვა დისბალანსი გარკვეული მიზეზების გამო მაშინ სახეზე არ გვექნება ნამდვილი თანასწორობა, არამედ ის მოჩვენებითი სტატუსის მატარებელი შეიძლება იყოს.

შეჯიბრებითობის პრინციპი მაშინაა ფასეული თუკი მხარეები თანასწორნი არიან მაგრამ თუ დავუშვათ დაცვის მხარე არადაამაჯერებლად ასრულებს თავის ფუნქციას მაშინ ყოველგვარ აზრს მოკლებულია შეჯიბრებითობის პრინციპის ზედმიწევნით დაცვა და საჭიროა გამონაკლისის სახით მოსამართლის მხრიდან მოხდეს დისბალანსის დაცვა, ვინაიდან მსგავს შემთხვევაში არაჯანსაღი შეჯიბრებითობა გვექნება სახეზე, რაც სააბოლოოდ სამართლიან გადაწყვეტილებამდე შესაძლოა ვერ მიგვიყვანოს.

Annotation

The purpose of criminal proceedings is to administer justice, which is achieved by the parties to the proceedings. However, in order to achieve the goal, it is necessary for the participants in the process to be given the rights and obligations that will help to complete the process fairly and legally.

The paper "Judicial Powers in Competition in Criminal Proceedings" will discuss the rights and obligations of criminal judges in Georgia, as well as the rights and obligations of other participants in the process.

It is very important that criminal law is formulated in such a way that all participants in the process are given the right to participate in a fair decision.

Under the current Code of Criminal Procedure, the powers of a judge are limited, so that one of the parties to the proceedings may benefit and use it to their advantage, which means that justice may not be served during the trial because the judge cannot otherwise act.

According to the current CCP, the judge acts as an arbitrator, which is somewhat justified, but it is very important to cross the line so that the extension of the judge's rights on the one hand does not violate the principle of competition and equality. And by reduction, there is no danger of making a fair decision.

The function of a judge serving the administration of justice should not be limited, and all this should be justified by the fact that the parties use the principle of competition and they themselves decide what the outcome will be, whether it is desirable (positive) or undesirable for them.

Therefore, the violation of this principle of the CCP can not be considered as an exception to the judge's interference in the trial (which, of course, must be

substantiated by the judge) and the elimination of existing inequality, which in turn serves the principle of equality.

There are often cases when a partial involvement of a judge is required, which requires some changes in the Code of Procedure, which will make it relatively easy to clarify certain details by asking a question, and it should not depend on the permission of the party. Weakens but also weakens his professional capabilities, which is unacceptable. A judgment rendered by a judge should not be based solely on inner belief and intuition, when there are details to be clarified and unanswered questions, and no one asks the question because it is not in his or her best interests.

The aim of the community is to eliminate the restrictions on the administration of justice and the delivery of a fair judgment that hinder and complicate the decision of a judge in the performance of his or her professional duties. Emphasis will be placed on the importance of adversariality and equality, not on the absoluteness of this principle, which allows for an exception (which must be substantiated by a judge) as the inequality is eliminated. Judicial practice will be analyzed and ways will be found to solve the problems raised.

In a criminal case, both the equality of the parties and the role of the judge are important, although they are somewhat limited and perform the function of conducting the trial, but this should not be done in such a way that since the judge does not have the right to participate in the trial, equality between the parties is violated. The principle of competition must be fulfilled, which is considered in it, then the principle of equality is clearly violated, because if the imbalance is broken between the parties for some reason then we will not have real equality in the face, but it can be a train of illusory status.

The principle of adversarial proceedings is valuable if the parties are equal, but if the defense is to perform its function unreliably, then the principle of adversarial proceedings must be strictly adhered to and an imbalance must be exercised by the judge as an exception.

სარჩევი

Contents

შესავალი.....	9
თავი 1. მოსამართლის როლი სისხლის სამართლის პროცესის ისტორიული ტიპების მიხედვით.....	11
1.1. ბრალდებითი პროცესი.....	11
1.2. სამძებრო (ინკვიზიციური) პროცესი.....	14
1.3. შეჯიბრებითი პროცესი.....	18
1.4 ინკვიზიციური და შეჯიბრებითი პროცესების შედარებითი ანალიზი.....	20
1.5 შერეული პროცესი.....	22
თავი 2. შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში.....	24
2.1 შეჯიბრებითობა - არსი და მნიშვნელობა.....	24
2.2 შეჯიბრებითი პროცესის პროცედურული ბარიერები.....	29
თავი 3 . შეჯიბრებითობის პრინციპი პრაქტიკაში.....	35
3.1 შეჯიბრებითობა ქართული სისხლის სამართლის კოდექსით.....	35
3.2 მოსამართლის როლი სასამართლო პროცესზე მხარეთა შეჯიბრებითობისას.....	39
3.3 შეჯიბრებითობის პრინციპის უზრუნველყოფა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში.....	46
3.4 შეჯიბრებითობის პრინციპი ანგლო ამერიკულ და კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემაში.....	50
დასკვნა.....	55
გამოყენებული ლიტერატურა.....	60

შესავალი

კვლევის აქტუალობა: მართლმსაჯულების განხორციელებისას ძალიან მნიშვნელოვანია პროცესის მონაწილე ყველა მხარის როლის და ფუნქციების გადანაწილება, ისე, რომ არ დაირღვეს სამართლის მთავარი პრინციპები და ამვე დროს დაცული იყოს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე ყველა მხარის უფლება, რათა აღსრულდეს სამართალი და ბრალდებულს შეეფარდოს შესაბამისი სასჯელი.

აღნიშნული პროცესის ერთ-ერთ მთავარ რგოლს წარმოადგენს სასამართლო. უკანასკნელი წლების განმავლობაში სამეცნიერო წრეებში მოსამართლის როლსა და მისი პროცესუალური უფლებამოსილებების შესახებ არაერთი საუბარი გაიმართა. ეს საკითხი საინტერესოა საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავლობო ორგანიზაციებისთვის, სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფისა და რა თქამა უნდა თავად სასამართლო სისტემის წარმომადგენლებისთვის.

თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლეთა უფლებამოსილებები მართლაც შეზღუდულია. ამ ეტაპზე არ არსებობს კვლევები, რომელიც დაადასტურებს, რომ ამას უარყოფითი ზეგავლენა აქვს მართლმსაჯულების განვითარებაზე. მაგრამ, მოსამართლის უფლებამოსილების შემცირება, პროცესის სხვა მონაწილეების უფლებამოსილების გაზრდის ხარჯზე ვფიქრობ უარყოფითად უნდა აისახოს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ კვლევა: „მოსამართლის უფლებამოსილება შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში“, ძალიან აქტუალურია.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია გამოავლინოს არსებული კანონმდებლობის გავლენა, პრაქტიკაში მიმდინარე პროცესებზე.

კვლევის ამოცანა: კვლევის მიზნიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანები ასე განისაზღვრა:

- დადგინდეს სამართლის მთავარი პრინციპების მიმართება სისხლის სამართლის მოსამართლესთან დაკავშირებით.
- დადგინდეს სისხლის სამართლის მოსამართლის უფლებამოსილება სისხლის სამართლის პროცესში და წარმოდგენილ იქნეს შესაბამისი დასკვნები.
- წარმოდგენილ იქნეს დასკვნები მოსამართლეთა როლის გაზრდისთვის.

კვლევის სიახლე: კვლევისას მოხდება მოსამართლის როლის შეფასება და წარმოდგენილი იქნება დასკვნები საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ.

კვლევის მეთოდები: კვლევისას გამოყენებულ იქნება იტორიული მეთოდი, შედარებით სამართლებრივი მეთოდი, თვისობრივი კვლევის მეთოდი.

თავი 1. მოსამართლის როლი სისხლის სამართლის პროცესის ისტორიული ტიპების მიხედვით

1.1. ბრალდებითი პროცესი

სისხლის სამართლის პროცესები საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. ვიდრე თანამედროვე ტიპად ჩამოყალიბდებოდა მან შთანთქა სხვადასხვა ქვეყნის და კონტინენტის გამოცდილება.

ისტორიული განვითარების თითოეულ ეტაპზე სისხლის სამართლის პროცესი, ამა თუ იმ გზით, ასოცირებული იყო საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების დონესთან, კულტურასა და ეკონომიკასთან.

საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა ტრადიციები, რწმენა, მეცნიერული შეხედულებები და შესაბამისად გაუმჯობესდა კანონმდებლობა.

ისტორიულად ცნობილია სისხლის სამართლის პროცესის მრავალი სახეობისა და ფორმის შესახებ.

თანამედროვე ავტორები სისხლის სამართლის პროცესის ოთხ ძირითად ისტორიულ ტიპს ასახელებენ:

- ბრალდებითი პროცესი,
- სამძებრო (ინკვიზიციური) პროცესი,
- შეჯიბრებითი პროცესი,
- შერეული პროცესი.

ძველად სისხლის სამართლის პროცესის ფორმები არ იყო ერთმანეთისაგან გამიჯნული, ასევე სირთულეს წარმოადგენდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესების გამიჯვნა ერთმანეთისაგან.

თანამედროვე სამართალში კი გამიჯნულია და ითვლება, რომ ეს მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი და არა იმ პერიოდის პროცესებისათვის, როგორც კანონის თავისებურებანი, რელიგიური ნორმები, ტრადიციები და პირადი ინტერესები ერთმანეთში იყო არეული.¹

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ტიპის პროცესისათვის დამახასიათებელი იყო მხარეთა შეჯიბრობითობა, რომელიც მიზნად ისახავდა საკუთარი პოზიციის გასამყარებლად მტკიცებულებების შეკრებას. რა თქმა უნდა გამონაკლისს არ წარმოადგენს ბრალდებითი პროცესი. თუმცა, ბრალდებით პროცესს ძირითადად ფორმალური ხასიათი ჰქონდა, რაც პროცესისათვის დამახასიათებელ ყველა სფეროზე აისახებოდა.

ბრალდებითი პროცესი იმ პერიოდის საზოგადოებისთვის დამახასიათებელად მიმდინარეობდა, მასში კარგად იგრძნობა იმ პერიოდის საზოგადოების განვითარების დონე. ისინი სიმართლის დასადგენად ღმერთს მოუხმობდნენ.

ბრალდებითი პროცესი დამახასიათებელია ძირითადად მონების საზოგადოებისა და ადრეული ფეოდალიზმისთვის.

¹ Смирнов А. В. Модели уголовного процесса. СПб., 2001; 27-28.

ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნოდა პროკურორს, სისხლის სამართლის პროცესის დაწყება, გაგრძელება და შეწყვეტა პროკურორის სურვილზე იყო დამოკიდებული.²

მტკიცებულებათა სისტემა ძველი ბრალდებითი პროცესის დამახასიათებელი ნიშანია. საზოგადოება არ ფლობდა შემეცნების ადეკვატურ საშუალებებს და სამართლიანობის გასარკვევად ღმერთს მიმართავდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ არ ხდებოდა ბრალდების არსში ჩაწვდომა. იმ პერიოდის მოსამართლეები სიმართლის დადგენას ზებუნებრივი საშუალებებით ცდილობდნენ.

პროცესზე მტკიცების საშუალებად გამოიყენებოდა ორთაბრძოლები, ასევე ცეცხლით ან წყლით გამოცდა და სხვა. ანუ ამ პროცესში ღმერთის როლი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი უდანაშაულო პირს დაიცავდა, შეჯიბრის მოგებაში დაეხმარებოდა ან წყლიდან უვნებელს გამოიყვანდა.³

თანამედროვე პირობებში ბრალდებითი პროცესი წარმოუდგენელია, რადგან ის დამყარებული იყო მთლიანად ფორმალურ საფუძველზე, მას არანაირი კავშირი არ ჰქონდა საქმის არსთან და საქმის რეალურ გამოძიებასთან.

რაც შეეხება, მოსამართლის როლს, ბრალდებითი პროცესის პირობებში, იგი ფაქტიურად მოწმის როლს ასრულებდა, შესაბამისად მისი როლი უმნიშვნელო იყო.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებითი პროცესისთვის დამახასიათებელი საშუალებები ძალიან შორს არის თანამედროვე

² S.V. Zuev, K.I. Sutyagin, CRIMINAL PROCESS, Chelyabinsk Publishing Center SUSU, 2016, 15.

³ Чельцов-Бебутов М. А. Очерки по истории суда и уголовного процесса в рабовладельческих, феодальных и буржуазных государствах. Т. 1. М., 1957;189-195.

სისხლის სამართლის პროცესიდან, მაინც ითვლება, რომ მტკიცებულებათა შინაგანი რწმენით შეფასების ჩანასახია.⁴

1.2. სამმებრო (ინკვიზიციური) პროცესი

სისხლის სამართლის პროცესის შემდეგ ტიპად ასახელებენ სამმებრო იგივე ინკვიზიციურ პროცესს.

1198 წლიდან პაპმა ინოკენტ III- მ გამოსცა განკარგულებები, რომლის მიხედვითაც დაინერგა ინკვიზიციური პროცესი. ინკვიზიციის ახალი პროცესის თანახმად, საეკლესიო მაგისტრატს აღარ მოეთხოვებოდა ოფიციალური ბრალდება ბრალდებულის გამოძახებისა და გასამართლების შესახებ. ამის ნაცვლად, საეკლესიო სასამართლოს შეეძლო საკუთარი ინიციატივით მოწმეების გამოძახება და დაკითხვა. ამის შემდეგ კონტინენტური ევროპის ნაწილებში, ინკვიზიციური პროცედურებით მოქმედი საეკლესიო სასამართლოები გახდა საქმის განხილვის დომინანტი მეთოდი. საფრანგეთში, პალატებმა - სასამართლო დარბაზებმა - ასევე გამოიყენეს ინკვიზიციური სამართალწარმოება.⁵

პირველი ტერიტორია, რომელმაც მთლიანად მიიღო ინკვიზიციური სისტემა, იყო რომის იმპერია. XIX საუკუნეში მომხდარი თანამედროვე იურიდიული ინსტიტუტების განვითარების შედეგად გაიზარდა ინკვიზიციური სისტემის როლი ევროპული სამოქალაქო სამართლის უმეტეს ნაწილში.

⁴ Чельцов-Бебутов М. А. Очерки по истории суда и уголовного процесса в рабовладельческих, феодальных и буржуазных государствах. Т. 1. М., 1957;189-195.

⁵ Richard M. Fraher, "IV Lateran's Revolution in Criminal Procedure: the Birth of inquisitio, the End of Ordeals and Innocent III's Vision of Ecclesiastical Politics", in *Studia in honorem eminentissimi cardinalis Alphonsi M. Stickler*, ed. Rosalius Josephus Castillo Lara. Rome: Salesian Pontifical University. 1992, 99.

აღნიშნული პროცესისთვის დამახასიათებელი იყო ძიება ჭეშმარიტების დასადგენად.

ამ პერიოდის საზოგადოება უკვე აღიქვამდა, რომ დამნაშავე საშიშროებას წარმოადგენდა მთლიანად საზოგადოებისათვის, სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ადამიანის დაცვა და დამნაშავეს დევნა მთელი საზოგადოების საერთო საქმე ხდება.

სამძებრო პროცესის განვითარება ვაჭრობის განვითარებასაც უკავშირდება, რადგან იმ პერიოდის საზოგადოებისათვის პრიორიტეტს ვაჭრობის განვითარება წარმოადგენდა, ეს კი შეუძლებელი იყო მათი გაძლიერებული დაცვის გარეშე.⁶

ინკვიზიციური პროცესის დამახასიათებელი ნიშნებია:

- ბრალდების და დაცვის საპროცესო ფუნქციების შერევა,
- მტკიცებულებათა შეფასების ფორმალური სისტემის არსებობა.

ინკვიზიციური პროცესი კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის მქონე ქვეყნების პროცესისთვისაა დამახასიათებელი.

ინკვიზიციურ პროცესში სისხლის სამართლის მწარმოებელ ორგანოებს ეკუთვნით საქმის გარემოებათა გამოვლენის პრივილეგია და არა მხარეებს, შესაბამისად მთელი პროცესი ატარებს ინკვიზიციურ ხასიათს.

სასამართლო სახელმწიფოს ინტერესების რეალიზაციის მიზნით ცდილობს გაარკვიოს ჭეშმარიტება და მხოლოდ ჭეშმარიტების საფუძველზე გადაწყვიტოს საქმე.

⁶ Чельцов-Бебутов М. А. Очерки по истории суда и уголовного процесса в рабовладельческих, феодальных и буржуазных государствах. Т. 1. М., 1957, 211.

აღნიშნული პროცესის თანახმად სასამართლო ჭეშმარიტების დადგენის მიზნით უფლებამოსილია წამოაყენოს და შეამოწმოს საწინააღმდეგო ვერსია, ამასთანავე სასამართლოს ევალება საქმის საბოლოო შეფასება. (ასრულებს იურისტის ფუნქციას) რაც მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა. ანუ გამოდის, რომ სასამართლოს ხელში მოქცეულია მთელი ძალაუფლება, იგი ითავსებს როგორც პროკურორის, ასევე ადვოკატისა და მოსამართლის როლებს. შესაბამისად, ასეთი სასამართლო და მოსამართლე ვერ ჩაითვლება თანამედროვე გაგებით სასამართლოდ, ესაა მოსამართლე ინკვიზატორი, რადგან მხოლოდ ისაა პროცესის ერთადერთი ქმედუნარიანი მონაწილე.⁷

ინკვიზიციურ პროცესში ბრალდებული დამნაშავედ მოიაზრება, ამიტომ სწორედ მას ეკისრება მტკიცების ტვირთი.⁸

აქვე აღსანიშნავია, რომ მართალის სასამართლო პროცესზე მოსამართლე ერთადერთი ქმედუნარიანი პირია, მაგრამ მოსამართლე-ინკვიზატორი თავის მხრივ ზემდგომ ხელმძღვანელს ემორჩილება. ზოგადად იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ძალაუფლების ერთი პირის - დესპოტის ხელში თავმოყრა.⁹

ინკვიზიციურ პროცესს ასევე ახასიათებს ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპი, როგორცაა ინსტრუქციულობა. თუკი ოფიციალურობა განსაზღვრავს საქმის მოძრაობის წყაროს, ინსტრუქციულობა მიუთითებს პროცესის მიზნის მიღწევის გზაზე და ხერხზე. სწორედ ინსტრუქციულობა იძლევა იმის გაგების შესაძლებლობას ამოქმედდება თუ არა საპროცესო მექანიზმი.¹⁰

⁷ Мещеряков Ю. В. Формы уголовного судопроизводства. Л., 1990, 65-66.

⁸ Фойницкий И. Я. Курс уголовного судопроизводства. Т. 1., СПб., (Переиздание 1996 года) 66.

⁹ Полянский Н. Н. Уголовное право и уголовный суд Англии. М., 1969; 8

¹⁰ Смирнов А. В. Модели уголовного процесса. СПб., 2001, 125.

ინსტრუქციულობის პრინციპიდან გამომდინარეობს:

- მტკიცებულებათა ფორმალური სისტემა;
- საპროცესო ფორმის უნიფიკაცია;
- სისხლისამართლებრივი დევნის საფუძვლების რეგლამენტაცია.¹¹

მტკიცებულებათა ფორმალური არსი - მოსამართლე მტკიცებულებებს კანონში დეტალურად ახსნილი კრიტერიუმებით აფასებს ანუ ყველა მტკიცებულებას აქვს წინასწარ განსაზღვრული ძალა.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყნებში ინკვიზიციური პროცესის სხვადასხვა ფორმა არსებობდა, თუმცა ძირითადად განასხვავებენ შემდეგ სამ პროცესს:

- რომაულ-გერმანული,
- საერთო სამართლის ქვეყნების ,
- ტრადიციული სამართლის ქვეყნების.¹²

საგამოძიებო პროცესი ისეთ მტკიცებულებათა რეგლამენტაციას ახდენს, როგორცაა:

- მოწმის ჩვენებები,
- ბრალდებულის აღიარება,
- წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები.

ინკვიზიციური სისტემა ვრცელდება სასამართლო განხილვისას სისხლის სამართლის პროცესის საკითხებზე და არა არსებით სამართალზე,

¹¹ ბენიძე დ., შეჯიბრებითობის თავისებურება ბრალდებით და სამძებრო (ინკვიზიციური) ტიპის პროცესში. თბილისი 2010წ გვ.9

¹² ბენიძე დ., შეჯიბრებითობის თავისებურება ბრალდებით და სამძებრო (ინკვიზიციური) ტიპის პროცესში. თბილისი 2010წ გვ10;

ანუ ის განსაზღვრავს, თუ როგორ ტარდება სისხლისსამართლებრივი გამოძიება და სასამართლო განხილვა.¹³

ამრიგად, ინკვიზიციურმა პროცესმა სასამართლო წარმოების კერძო ხასიათი მოსპო და საჯაროობა შეიტანა.

1.3. შეჯიბრებითი პროცესი

როგორც აღნიშნა ზოგადად სამართალი და მათ შორის სისხლის სამართალი ეფუძვნება პრინციპებს, რომელთა განუხრელი დაცვაც მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველია. თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესი მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს ეფუძნება. თუმცა თანამედროვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებამდე საქართველოში როგორც სისხლის ასევე სამოქალაქო სამართლის პროცესში მოქმედებდა ე.წ ინკვიზიციურობის პრონციპი. ინკვიზიციურობის პრონციპის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ სასამართლო ვალდებული იყო არ დაყრდნობოდა მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილ მასალას და ახსნა-განმარტებებს და მიეღო კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოერკვია საქმის ნამდვილი გარემოებანი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი. ამასთანავე თუ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი არ იყო, სასამართლო მხარეებს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს წინადადებას აძლევდა წარმოედგინათ დამატებითი მტკიცებულებები ან შეეგროვებინათ ისინი საკუთარი ინიციატივით.

¹³ ALEMAN v. THE HONORABLE JUDGES OF THE CIRCUIT COURT OF COOK COUNTY, March 06, 1998.

შეჯიბრობითობის პროცესს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. საკმაოდ ძველად კერძო-შეჯიბრებითი ტიპი მიიჩნევა, მას ბრალდებითაც უწოდებენ, რადგან ბრალდების გარეშეც საქმის წარმოება ვერ დაიწყებოდა.

შეჯიბრებითი ხასიათის პროცესისათვის დამახასიათებელია, მხარეთა კამათი, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ პროცესის მონაწილენი თანასწორუფლებიან მხარებად ითვლებიან. შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედებისას ხდება ბრალდების და დაცვის ფუნქციების გამოყოფა და მათი გამიჯვნა ერთმანეთისაგან, სასამართლოს კი დომინირებული როლი აქვს გადაწყვეტილების მიღებაში.¹⁴

შეჯიბრებითი პროცესი აღიქმებოდა, როგორც სახელმწიფოსა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ მოქალაქეებს შორის დავა,¹⁵ თუმცა დავაში ორივე მხარეს თანაბარი შესაძლებლობა აქვს მტკიცებულებათა შეკრების, გამოკვლევისთვის, ანალიზისთვის და ა.შ.¹⁶

ამრიგად, შეჯიბრებითობის პროცესისთვის დამახასიათებელი იყო მტკიცებულებების შინაგანი რწმენით შეფასება, აღიარება, მხარეთა თანასწორუფლებიანობა და ა.შ.

¹⁴ მ. ლეკვეიშვილის 85 წლის საიუბილეო კრებულში, გამომცემელი „იურისტების სამყარო“ 2017, 130.

¹⁵ გუცენკო კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007, 13.

¹⁶ გუცენკო კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007, 14.

1.4 ინკვიზიციური და შეჯიბრებითი პროცესების შედარებითი ანალიზი

თანამედროვე სამყაროში ძირითადად სამართლებრივ დავებს ორი გზით წყვეტენ. ეს გზებია შეჯიბრებითი პროცესი და ინკვიზიციური პროცესი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული ინკვიზიციურ და შეჯიბრებით პროცესებს შორის ფუნდამენტური განსხვავება პროცესის წარმართველ და მაკონტროლებელ პირს შორისაა.¹⁷

ინკვიზიციურ მოდელში, შეჯიბრებითი მოდელისაგან განსხვავებით სისხლის სამართლის სასამართლო პირადაპირაა საქმის გადაწყვეტაში ჩართული. უფრო გასაგები, რომ იყოს ინკვიზიციური პროცესის მიმდინარეობისას მოსამართლეები თავად აგროვებენ მტკიცებულებებს და თავადვე განსაზღვრავენ საქმეში არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გახსნის წესს.¹⁸ გარდა ამისა ინკვიზიციური პროცესისას მოსამართლეები თავად ნიშნავენ მოწმეებს, ექსპერტებს, თავადვე კითხავენ და ამის შემდეგ თავადვე განსაზღვრავენ ჩვენების ღირებულებას.¹⁹

ინკვიზიციური პროცესისაგან განსხვავებით, შეჯიბრებითი პროცესი მთლიანად მხარეების სურვილებსა და მათ გადაწყვეტილებლზეა მინდობილი.²⁰ თუ ინკვიზიციური პროცესის მიმდინარეობისას, სასამართლო ძალიან და შეიძლება ითქვას ზედმეტად აქტიურიც კია, შეჯიბრებითი პროცესის მიმდინარეობისას მოსამართლე

¹⁷ Erin C. Blondel, Victims' Rights in an Adversary System, Duke Law Journal, Vol. 58, No. 2, 2008, 241.

¹⁸ Erin C. Blondel, Victims' Rights in an Adversary System, Duke Law Journal, Vol. 58, No. 2, 2008, 241.

¹⁹ Bruno Deffains and Dominique Demougin, The inquisitorial and the adversarial procedure in a criminal court setting, Journal of Institutional and Theoretical Economics . 2008, 2

²⁰ Bruno Deffains and Dominique Demougin, The inquisitorial and the adversarial procedure in a criminal court setting, Journal of Institutional and Theoretical Economics. 2008, 2.

პასიურია, მისი როლი მხოლოდ „მსაჯის“ ფუნქციით შემოიფარგლება, ანუ მოსამართლე თავად არ იძიებს მტკიცებულებებს, ის მხოლოდ აფასებს მათ, შესაბამისად მხოლოდ მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით წყვეტს საქმეს.²¹

სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი მიზანი სიმართლის, რეალობის დადგენაა, ასევე მნიშვნელოვანია დადგინდეს, სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისთვის რას ნიშნავს სიმართლე. ამ თემიაზე არსებობს ორი ძირითადი მიდგომა:

- შესაბამისობის თეორია,
- კონსენსუსის თეორია.

შესაბამისობის თეორიით განაჩენი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს სწორი, როდესაც ის შეესაბამება რელურად მომხდარ გარემოებას.²²

კონსენსუსის თეორია შესაბამისობის თეორიის საპირისპიროდ უდგება საკითხს და მიიჩნევს, რომ სიმართლე არის ის რაზეც გონიერი ადამიანები შეთანხმდებიან სამართლიანი განხილვის დროს.

აღნიშნული თეორიები ჩვენს მიერ განსახილველ საკითხს შეესაბამება. კერძოდ პროცესებსა და თეორიებს შორის ასეთი შესაბამისობაა:

- ინკვიზიციური მოდელი - შესაბამისობის თეორია,
- შეჯიბრებითი მოდელი - კონსენსუსის თეორია.²³

²¹ Erin C. Blondel, Victims' Rights in an Adversary System, Duke Law Journal, Vol. 58, No. 2, 2008, 241.

²² Thomas Weigend, Should We Search for the Truth, and Who Should Do It, North Carolina Journal of International Law and Commercial Regulation, Vol. 36, No. 2, 2011, 390.

²³ Thomas Weigend, Should We Search for the Truth, and Who Should Do It, North Carolina Journal of International Law and Commercial Regulation, Vol. 36, No. 2, 2011, 391.

თუმცა, ერთი შეხედვით კონსენსუსის თეორია მხოლოდ სიმართლის დადგენის გზებზე ამახვილებს ყურადღებას და ნაკლებად განმარტავს სიმართლის არსს. თუმცა ამას არც შესაბამისობის თეორია გამორიცხავს. მით უმეტეს, რომ დადგენილია, სიმართლის / რეალობის დადგენა მხოლოდ სრული და სამართლიანი გამოძიებით უნდა მოხდეს.

1.5 შერეული პროცესი

მეოცე საუკუნის ბოლოს, სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპი ინკვიზიციური პროცესის ცალკეულ ელემენტებს შეერწყმა, სწორედ ამის შემდეგ წარმოიშვა შერეული პროცესი.

ევროპის სახელმწიფოების სასამართლოები სერიოზული დანაშაულის შემთხვევებისთვის, დაკომპლექტდნენ ექსკლუზიურად პროფესიონალი მოსამართლეებით. თუმცა, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტამდე, ეს სასამართლოები ექვემდებარებოდა პოლიტიკურ ჩარევას იმ საქმეებში, რომლებიც მმართველებს აინტერესებდათ.²⁴

შერეული პროცესის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი და ამავედროს მისი დანიშნულება არის მისი ორ სტადიად გამოყოფა:

- წინასწარი წარმოება,
- დამამთავრებელი წარმოება.

²⁴ Cesare Beccaria, *Of Crimes and Punishments*, in Alessandro Manzoni, *The Column of Infamy*. London: Oxford University Press, 1964, 23.

სისხლის სამართლის პროცესის შერეული ტიპი სხვდსხვა ინსტიტუტების მექანიკურ შეერთებას არ ნიშნავს. პირიქით, ეს არის ერთიანი პრინციპებით გამსჭვალული სისტემა.

წინასწარი წარმოების სტადიისთვის დამახასიათებელი იყო ინკვიზიციური პროცესისთვის დამახასიათებელი ნიშნები.

დამამთავრებელი წარმოება კი შეჯიბრებითობის საწყისზე იყო აგებული.

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ რაც 1864 წლის სასამართლო რეფორმამ რუსეთში ინკვიზიციური პროცესის ფორმის გაუქმების შემდეგ შემოიღო შერეული პროცესი.

საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი იყოფოდა:

- წინასწარ გამოძიებად,
- სასამართლო განხილვად.

დანაშაულის ჩამდენ პირთა გამოვლენის და დასჯის პროცესში ფართო უფლებამოსილებები გააჩნდათ პროკურატურის და სასამართლო ორგანოებს. იმ პერიოდის საქართველოშიც შერეული მოდელი მოქმედებდა. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე საზოგადოებაშიც აქტუალურია შერეული მოდელი.

ტიპიური შერეული მოდელისთვის დამახასიათებელია ცალმხრივი გამოძიების პროცესი, რომელსაც აწარმოებს პროკურატურა ან პოლიცია, პროკურატურის ზედამხედველობით. ხოლო, სასამართლო სხდომაზე, ბრალდებისა და დაცვის მხარე, ერთმანეთს უპირისპირდებიან, წარმოადგენენ მტკიცებულებებს და ცდილობენ სასამართლო თავიანთი პოზიციის სისწორეში დაარწმუნონ. სასამართლო თავის მხრივ პროცესის

სწორი მიმართულებით წარმართვას და მხარეებისათვის თანაბარი პირობების შექმნას უზრუნველყოფს.²⁵

ამრიგად, შერეულ სისხლის სამართლის პროცესში გამოძიების სახელმწიფოს ოფიციალური ორგანოები აწარმოებენ, ისინი განსაზღვრავენ ბრალდების საგანსა და მოცულობას.

მტკიცებულებების წარდგენა და გამოკვლევა კი მხარეთა მიერ წარმოებს სასამართლოში.

თავი 2. შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში

2.1 შეჯიბრებითობა - არსი და მნიშვნელობა

შეჯიბრებითი სისტემის ახსნა შედარებით მარტივია ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითით. როგორც მკვლევარი ე. ბლონდელი (Erin C. Blondel) მიუთითებს, ამერიკის შეერთებული შტატების დამფუძნებელ მამებს, ერთდროულიად შემდეგ ორი მიზნის მიღწევა სრულდათ:

- ფედერალური სასამართლო დამოუკიდებლობა აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან.
- მოსახლეობისთვის სასამართლო ძალაუფლების გარანტირება.²⁶

²⁵ Weigend T., Rechtsvergleichende Bemerkungen zur Wahrheitssuche im Strafverfahren, Festschrift für Ruth Rissing-van Saan zum 65. Geburtstag am 25. Januar 2011, S. 750ff

სწორედ ამიტომ მოხდა, რომ შეჯიბრებითი პროცესის ფილოსოფია კონსტიტუციურ, ეთიკურ და პროცედურულ სტრუქტურებს დაეფუძნა.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციით ამერიკულ სასამართლოს მინიჭებული აქვს საქმეების და დავების გადაწყვეტის უფლებამოსილება.²⁷

ამერიკის შეერთებულ შტატებში შეჯიბრებითი პროცესი კონსტიტუციურად დამკვიდრდა, მაგრამ სასამართლო პრაქტიკიდან ამოიზარდა. სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო ითვლება შეჯიბრებითი სისტემის ძირითად შემოქმედად.²⁸

შეჯიბრებითი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ერთ-ერთ გამოვლინებად ითვლება. აშშ-ის კანონმდებლობით მთლიანად გამრიცხულია მოსამართლეების საქმიანობა პოლიტიკის შემოქმედების მიმართულებით, ამიტომ მოსამართლეები მხოლოდ კანონის განმმარტებლები არიან.²⁹ ამ ლოგიკას თუ გავყვებით, სასამართლო ხელისუფლება ერთდროულად იცავს ხელისუფლების დანარჩენ შტოებს და ამასთანავე მხარეებს აძლევს საშუალებას, რომ დაიცვან საკუთარი უფლებები მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე.³⁰

ინკვიზიციური სისტემისაგან განსხვავებით, შეჯიბრებით სისტემებში უდიდესი მნიშვნელობა მხარეთა ინტერესებს ენიჭება. ზოგადად, ნებისმიერი პროცესის და მით უმეტეს შეჯიბრებითი პროცესის

²⁶ Erin C. Blondel, Victims' Rights in an Adversary System, Duke Law Journal, Vol. 58, No. 2, 2008, 243.

²⁷ The Constitution of the United States, art. III, sec. 2 (1), - <https://constitutionus.com/>

²⁸ William van Caenegem, Advantages and disadvantages of the adversarial system in criminal proceedings, Bond University, 1999, 72.

²⁹ Erin C. Blondel, Victims' Rights in an Adversary System, Duke Law Journal, Vol. 58, No. 2, 2008, 242.

³⁰ Erin C. Blondel, Victims' Rights in an Adversary System, Duke Law Journal, Vol. 58, No. 2, 2008, 242

დროს მხარეების ინტერესს მათი დავების სამართლიანი პროცესის საშუალებით წარმართვა წარმოადგენს.

მეცნიერთა ნაწილის აზრით, შეჯიბრებითი პროცესი მსჯავრდების არასწორი წყაროა.³¹ აღნიშნული ვარაუდის საფუძველს შეჯიბრებითი პროცესის ბუნება და მისი მოწყობა იძლევა. რადგან შეჯიბრობით პროცესში ჩართული მხარეები მიმართულნი არიან არა სიმართლის დადგენისაკენ, არამედ პროცესში გამარჯვებისაკენ.³²

აღნიშნულის საპირისპიროდ, ინკვიზიციური პროცესის ნაკლზე მიუთითებენ, სადაც პროკურორი მოსამართლის უფლებამოსილებით გვევლინება.³³ ამის საპირისპიროდ კი შეიძლება ითქვას, რომ ინკვიზიციურ პროცესში მოსამართლესაც გარკვეულწილად პროკურორის როლი აქვს შეთავსებული. რადგან სწორედ მოსამართლეს და პროკურორს შორის არის გადანაწილებული მამხილებელი ფაქტების შეგროვება - წარდგენის ფუნქციები.³⁴

შეჯიბრებითი პროცესის შემთხვევაში უფრო რეალურია ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა, აღნიშნულის თქმის საფუძველს სხვა ფაქტორებთან ერთად მოწმის ჯვარედინი დაკითხვაც იძლევა.

მოწმის ჯვარედინი დაკითხვის მიზანი უსაფუძვლო ჩვენებების აღმოჩენა და გაქარწყლებაა, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.³⁵ აქვე აღსანიშნავია, რომ ჯვარედინმა

³¹ Keith A. Findley, Adversarial Inquisitions: Rethinking the Search for the Truth, New York Law School Law Review, Vol. 56, No. 911, 2011, p. 18-19,

³² Keith A. Findley, Adversarial Inquisitions: Rethinking the Search for the Truth, New York Law School Law Review, Vol. 56, No. 911, 2011, p. 18-19,

³³ Keith A. Findley, Adversarial Inquisitions: Rethinking the Search for the Truth, New York Law School Law Review, Vol. 56, No. 911, 2011, p. 18-19,

³⁴ Marvin E. Frankel, The Search for Truth: An Umpireal View, American Law Register, Vol. 123, No. 5, 1975, p. 1033,

³⁵ Thomas Weigend, Should We Search for the Truth, and Who Should Do It, North Carolina Journal of International Law and Commercial Regulation, Vol. 36, No. 2, 2011, p. 407.

დაკითხვამ შეიძლება ე.წ. „მართალი“ მოწმეების დაბნევა გამოიწვიოს, რაც რა თქმა უნდა გადაწყვეტილების მიმღები პირის თვალში დააზიანებს მათ სანდოობას.

მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი განმტკიცებულია ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, კერძოდ: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია უზრუნველყოფენ, რომ ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს „თვითონ დაკითხოს ან დააკითხვინოს მისი ბრალდების მოწმეები და გამოამახებინოს და დააკითხვინოს მისი დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში“.

მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვის უფლება უნდა იქნეს გაგებული შეჯიბრებითობის პროცესის კრილში, რაც სამართლიანი სასამართლოს კონცეფციაში დევს³⁶ და იგი გულისხმობს, რომ მოსარჩელეს მიეცეს მოწმის განცხადების ან ჩვენების ნებისმიერ ასპექტში შედავების შესაძლებლობა დაპირისპირების ან დაკითხვის დროს.³⁷ ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ასევე ზეპირობის პრინციპი, რომელიც გულისხმობს სასამართლოს უშუალო კონტაქტს პირებთან, რომლებიც ჩვენებას იძლევიან პროცესზე, კერძოდ, ბრალდებული უნდა დაუპირისპირდეს მოწმეს მოსამართლის თანდასწრებით, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას საქმეზე, რათა შესაძლებელი გახდეს მოწმის ქცევის მანერასა და სანდოობაზე ყურადღებით დაკვირვება.³⁸

³⁶ MATYTSINA რუსეთის წინააღმდეგ, 2014 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება, პარ. 153

³⁷ BRICMONT ბელგიის წინააღმდეგ, 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, პარ. 81.

³⁸ ფინეთის წინააღმდეგ, 2002 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, იხ. აგრეთვე MATYTSINA რუსეთის წინააღმდეგ, 2014 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება, პარ. 153

ზემოაღნიშნული პრინციპის მნიშვნელობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია ხაზგასმული. თუმცა, ამავე დროს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ ამ პრინციპიდან გამონაკლისი დასაშვებია, მაგრამ ამან არ უნდა შელახოს დაცვის მხარის უფლებები. მსჯავრდება, რომელიც ეფუძნება მხოლოდ ან მეტწილად იმ დაუსწრებელი მოწმის ჩვენებას, ვისი გამოკითხვის შესაძლებლობაც არ ჰქონდა განსასჯელს არც გამოძიების მიმდინარეობისას და არც სასამართლო პროცესზე, როგორც წესი, ჩათვლება მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანობის მოთხოვნასთან შეუსაბამოდ. თუმცა ეს არ არის აბსოლუტური წესი, რომელიც მოუქნელობით ხასიათდება და არ ითვალისწინებს კონკრეტული სამართლებრივი სისტემის განსაკუთრებულობას. შესაბამისად, მაშინაც კი, როდესაც დაუსწრებელი მოწმის ჩვენებაა ერთადერთი ან მეტწილი მტკიცებულება განსასჯელის წინააღმდეგ, მტკიცებულებად მისი მიღება ავტომატურად არ იწვევს 6.1 მუხლის დარღვევას. ამავდროულად, იმ შემთხვევებში, როდესაც მსჯავრდება მხოლოდ ან მეტწილად ეფუძნება ე.წ. „დაუსწრებელი მოწმის“ ჩვენებას, სასამართლომ საქმისწარმოება უნდა განიხილოს განსაკუთრებული ყურადღებით. ასეთი მტკიცებულების დაშვების საფრთხიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება მისი დაბალანსება და სწორედ ეს მოითხოვს საკმარისად გამაწონასწორებელ ფაქტორებს, მათ შორის ძლიერ პროცედურულ გარანტიებს. თითოეულ ასეთ საქმეში მნიშვნელოვანია გამაწონასწორებელი ფაქტორების არსებობა, მათ შორის ისეთი ზომებისა, რომლებიც შესაძლებელს ხდის ამ მტკიცებულების სარწმუნოების სამართლიან და სათანადო შეფასებას. მსჯავრდება შეიძლება დაფუძნებული იყოს ამგვარ მტკიცებულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის საკმარისად სანდოა.³⁹

³⁹ Al-Khawaja და Tahery გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 2011 წლის 15 დეკემბრის

აღნიშნულიდან გამომდინარე საქმეზე, Al-Khawaja და Tahery გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ, იმის გათვალისწინებით, რომ მეორე განმცხადებელი (ბატონი ტაჰერი) მოკლებული იყო შესაძლებლობას, შეემოწმებინა T-ს ჩვენების ნამდვილობა და სანდოობა ჯვარედინი დაკითხვით და ვინაიდან T ერთადერთი მოწმე იყო, რომელმაც მოისურვა და შეძლო ეთქვა, თუ რა ნახა, განმცხადებელს არ შეეძლო მოეწვია სხვა მოწმე, რომელიც დაუპირისპირდებოდა ამ ჩვენებას, რის გამოც დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, ვინაიდან T-ს ჩვენება ერთადერთი პირდაპირი მტკიცებულება იყო მის წინააღმდეგ.⁴⁰

ამრიგად, შეჯიბრებითი პრინციპი საშუალებას აძლევს ნებისმიერ მხარეს თავად მოიპოვოს მტკიცებულებები, რომელსაც თვითონ მიიჩნევს საჭიროდ და მიუკერძოებელი სასამართლოს წინაშე წარმოადგინოს. ხოლო სასამართლო მხოლოდ მხარების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიღებს გადაწყვეტილებას.

2.2 შეჯიბრებითი პროცესის პროცედურული ბარიერები

- მოსამართლის როლი

შეჯიბრებით პროცესში მოსამართლის სიმბოლურ როლს შემაფერხებელ ფაქტორად განიხილავენ შეჯიბრებითი პროცესის მომხრე

გადაწყვეტილება.

⁴⁰ Al-Khawaja და Tahery გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 2011 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება.

თეორეტიკოსები და პრაქტიკოსებიც. აღნიშნულთან დაკავშირებით მეცნიერი მ. ფრანკელი (Marvin E. Frankel) აღნიშნავს, რომ შეჯიბრებითი სისტემა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით მოსამართლეს ეფექტური ჩარევის შესაძლებლობას არ აძლევს,⁴¹ რადგან შეჯიბრებით პროცესში მოსამართლეს პასიური როლი აკისრია.⁴²

შეჯიბრებითი პროცესის მსვლელობისას მოსამართლე ისმენს და აფასებს მოწინააღმდეგე მხარეების მოსაზრებებს და იხილავს მათ მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს. მაგრამ მიუხედავად ამისა მისი როლი ისე ძალიან არის შეზღუდული, რომ პროცესში აქტიურად ჩაბმის საშუალება არ ეძლევა.⁴³ ზოგიერთი მეცნიერი შეჯიბრებითი პროცესის მოსამართლეს მენეჯერსაც კი უწოდებს, რადგან მას არ შეუძლია წინ აღუდგეს პროცესის განვითარებას არასწორი მიმართულებით.⁴⁴

ერთ ერთ საქმეზე კასატორი აღნიშნავდა, რომ საქმის განხილვის დროს დაირღვა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი, რადგან მოსამართლე თვითონ ჰკითხავდა მოწმეს. აღნიშნული დარღვევა დაფიქსირდა სასამართლო სხდომის ოქმზე შენიშვნის სახით.⁴⁵

- **სამართლებრივ წარმომადგენლობაზე ხელმისაწვდომობა.**

შეჯიბრებითი პროცესის უპირატესობას სხვა ტიპის პროცესებთან მიმართებით, მისი მომხრეები სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანის უპირატესობას ასახელებენ, მართლაც შეჯიბრებითი პროცესი

⁴¹ Marvin E. Frankel, The Search for Truth: An Umpireal View, American Law Register, Vol. 123, No. 5, 1975, p. 1042

⁴² Marvin E. Frankel, The Search for Truth: An Umpireal View, American Law Register, Vol. 123, No. 5, 1975, p. 1033

⁴³ Bruno Deffains and Dominique Demougin, The inquisitorial and the adversarial procedure in a criminal court setting, Journal of Institutional and Theoretical Economics (JITE), 2008, p. 2,

⁴⁴ Bruno Deffains and Dominique Demougin, The inquisitorial and the adversarial procedure in a criminal court setting, Journal of Institutional and Theoretical Economics (JITE), 2008, p. 8.

⁴⁵ საქმის ნომერი 2კ-83აკ.-13. თარიღი 31/10/2013 .

მხარეთათვის თანასწორი პირობების უზრუნველყოფისკენაა მიმართული.⁴⁶ ზოგჯერ ეს მოსაზრებაც შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს, დაცვის მხარის ბრალდების მხარესთან არათანაბარ პოზიციაში აღმოჩენის გამო. აღნიშნულის მიზეზი შესაძლოა უფასო იურიდიული დახმარების აღმოუჩენლობაც იყოს, რადგან ბრალდებულმა შესაძლოა მხოლოდ იმიტომ ვერ დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, რომ შესაბამისი იურიდიული დახმარება ვერ მიიღოს უსახსრობის გამო.⁴⁷ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია, რომ ქვეყანაში შეჯიბრებითი პროცესის პარალელურად განვითარდეს იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობის გზები და საშუალებები. ამ სისტემის გაუმართაობა შეჯიბრებით პროცესის ჩავარდნის და ხშირ შემთხვევაში უსამართლობის ტოლფასიც კია.⁴⁸

ამრიგად, შეჯიბრებითმა პროცესმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოიპოვოს ლეგიტიმაცია თუ სახელმწიფო მთელი სასამართლო პროცესის განმავლობაში უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორ შესაძლებლობებსა და წარმომადგენლობას.

- **საგამომიებო ეტაპი.**

საგამომიებო ეტაპთან დაკავშირებითაც არსებობს კითხვები, რადგან პროცესის მხოლოდ ერთ მხარეს აქვს ყველა მტკიცებულებაზე წვდომა და სწორედ მთელი სახელმწიფო რესურსები მასზე იხარჯება.⁴⁹

⁴⁶ Thomas Weigend, Should We Search for the Truth, and Who Should Do It, *North Carolina Journal of International Law and Commercial Regulation*, Vol. 36, No. 2, 2011, p. 396.

⁴⁷ Thomas Weigend, Should We Search for the Truth, and Who Should Do It, *North Carolina Journal of International Law and Commercial Regulation*, Vol. 36, No. 2, 2011, 407.

⁴⁸ Robert P. Mosteller, Failures of the American Adversarial System to Protect the Innocent and Conceptual Advantages in the Inquisitorial Design for Investigative Fairness, *North Carolina Journal of International Law and Commercial Regulation*, Vol. 36, No. 2, 2011, p. 326

⁴⁹ Keith A. Findley, Adversarial Inquisitions: Rethinking the Search for the Truth, *New York Law School Law Review*, Vol. 56, No. 911, 2011, 2.

შეჯიბრებით პროცესში მხარეთა შესაძლებლობების გათანაბრებისათვის საჭიროა, დაცვის მხარის დროული ჩაბმა საგამომიებო ეტაპიდანვე.⁵⁰

- **მტკიცებულებების გაუმჟღავნებლობა.**

მხარეებს შორის აუცილებელია, მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაციის გაზიარება. ეს კეთდება იმისათვის, რომ მათ საკუთარი სიმართლის დამტკიცების თანაბარი შანსი ჰქონდეთ.⁵¹

მტკიცებულებებთან დაკავშირებით შეჯიბრებით პროცესში სხვადასხვა მიდგომები არსებობს. ზოგჯერ პროკურატურას გამამართლებელი მტკიცებულებების გამჟღავნების ვალდებულება აკისრია, დაცვის მხარეს კი ალიბი მტკიცებულებების.⁵²

ამრიგად, შეჯიბრებითი პროცესის მქონე სხვადასხვა ქვეყნებში მტკიცებულებების გამჟღავნების საკითხი სხვადასხვანაირადაა დარეგულირებული.

ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ბელზიუკი პოლონეთის წინააღმდეგ“ (Belziuk v. Poland) განმარტა, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი გულისხმობს მხარეთა შესაძლებლობას, იცნობდნენ საქმეს და ყველა მტკიცებულებასთან მიმართებით ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება, ხოლო საქმეში „დამბო ბიჰიერი ბ.ვ. ნიდერლანდების წინააღმდეგ“ (Dombo Beheer BV v. The Netherlands) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ დასახელებული პრინციპი მოიცავს ორივე მხარისათვის მტკიცებულებათა წარდგენის

⁵⁰ Thomas Weigend, Should We Search for the Truth, and Who Should Do It, North Carolina Journal of International Law and Commercial Regulation, Vol. 36, No. 2, 2011, 411.

⁵¹ Keith A. Findley, Adversarial Inquisitions: Rethinking the Search for the Truth, New York Law School Law Review, Vol. 56, No. 911, 2011, 28.

⁵² Keith A. Findley, Adversarial Inquisitions: Rethinking the Search for the Truth, New York Law School Law Review, Vol. 56, No. 911, 2011, 3

შესაძლებლობის მინიჭებას ისეთ პირობებში, რომ არცერთ მათგანს არ მიენიჭოს აშკარა უპირატესობა. მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარეს არ შეზღუდვია არც მტკიცებულებების წარდგენისა და არც საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების უფლება. საპროცესო კანონმდებლობით, თუ ბრალდების მხარემ არ წარადგინა რაიმე მტკიცებულება, დაცვის მხარეს შეუძლია, მოითხოვოს იმ მოწმეთა დაკითხვა, რომლებსაც შესაძლოა, მსჯავრდებულის უდანაშაულობა ემტკიცებინა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ განხორციელებულა.⁵³

საქართველოს საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი გულისხმობს მხარეთა შესაძლებლობას, იცნობდნენ საქმეს და ყველა მტკიცებულებასთან მიმართებით ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება. ⁵⁴სხვა საქმეში ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ დასახელებული პრინციპი მოიცავს ორივე მხარისათვის მტკიცებულებათა წარდგენის შესაძლებლობის მინიჭებას ისეთ პირობებში, რომ არც ერთ მათგანს არ მიენიჭოს აშკარა უპირატესობა.⁵⁵

• საექსპერტიზო მტკიცებულება

საექსპერტიზო მტკიცებულება ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. როგორც წესი შესაბამისი ლაბორატორიები ძირითადად საპოლიციო დაწესებულებებში მდებარეობს, რაც ეჭვის საფუძველს ქმნის. კერძოდ არსებობს იმის სასუალება, რომ

⁵³ საქმის ნომერი 2კ-166პ.-18, თარიღი 18/07/2018.

⁵⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ბელზიუკი პოლონეთის წინააღმდეგ“ (Belziuk v. Poland), N45/1997/829/1035, 25/03/1998, §37.

⁵⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „დამბო ბიჰიერი ბ.ვ. ნიდერლანდების წინააღმდეგ“ (Dombó Beheer B.V. v. the Netherlands), N14448/88, 27/10/1993, §33

ბრალდების მხარემ ეს დასკვნა საკუთარი პოზიციის გასამყარებლად გამოიყენოს.⁵⁶ ამ ეჭვის გამო დაცვის მხარე ხშირად საექსპერტო დაწესებულებას სისტემის გარეთ ეძებს, რაც საკმაოდ ძვირი და ხშირ შემთხვევაში მიუწვდომელიც კია.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, დაცვის მხარეს შეეძლო ესარგებლა მტკიცებულებათა მოპოვების უფლებით და თვითონ დაენიშნა და ჩაეტარებინა მისთვის საინტერესო ყველა საკითხზე სათანადო ექსპერტიზა, ასევე მოეპოვებინა სხვა მტკიცებულებები, რასაც სასამართლო შემდგომ გახდიდა მსჯელობის საგნად.⁵⁷

მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი გულისხმობს, რომ დაცვისა და ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული ექსპერტის დასკვნები განიხილებოდეს თანაბარი ღირებულების მქონე მტკიცებულებებად. მაგალითად, საქმეზე - ხადარკოვსკი და ლებედევი რუსეთის წინააღმდეგ, (Khodorkovskiy and Lebedev v. Russia, N11082/06, N13772/05; ECtHR, 25.07.2013) რუსეთის სასამართლოებმა ერთმანეთისგან ცალსახად განასხვავეს პროკურატურის მიერ გამოძახებული „ექსპერტები“ და, მეორე მხრივ, დაცვის მხარის მიერ საქმეში ჩართული „სპეციალისტები“. მსგავსმა დიფერენციაციამ და საქმის მონაწილე მხარეებისთვის სხვადასხვა პროცედურული წესების მიკუთვნებამ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიყვანა დასკვნამდე, რომ დაცვისა და ბრალდების მხარეებს შორის შექმნილმა ძალაუფლების დისბალანსმა განაპირობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (d) ქვეპუნქტის დარღვევა.

⁵⁶ Keith A. Findley, *Adversarial Inquisitions: Rethinking the Search for the Truth*, *New York Law School Law Review*, Vol. 56, No. 911, 2011.3.

⁵⁷ საქმის ნომერი 23-640აპ.-17, თარიღი 30/04/2018.

ამდენად, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ექსპერტის დასკვნა უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:⁵⁸

- ექსპერტმა კვლევისას რა მასალები გამოიყენა,
- რა საგანი, დოკუმენტი, ნიმუში ან სხვა ობიექტი გამოიკვლია,
- რა გამოკვლევა ჩატარა და რა მეთოდები გამოიყენა;

ამასთან, რამდენად დასაბუთებული და კატეგორიული პასუხები გასცა დასმულ შეკითხვებზე.

- მხარეთა მიერ მოწმეების გამოკითხვა.

შეჯიბრებითი პროცესის ბუნება საგამომიებო ეტაპზე მხარეთა მიერ მოწმეების დაკითხვის პროცედურებშიც ვლინდება. როგორც წესი მოწმეები ხშირად თავს იკავებენ მოწინააღმდეგე მხარისთვის ჩვენების მიცემისგან, ძირითადად საგამომიებო ეტაპზე.

სასამართლოში კი იურისტებთან საგულდაგულოდ შერჩეული ჩვენებები საქმეში ობიექტურად მომხდარი გარემოებების გამოვლენის საშუალებებს ამცირებს.⁵⁹

თავი 3 . შეჯიბრებითობის პრინციპი პრაქტიკაში

3.1 შეჯიბრებითობა ქართული სისხლის სამართლის კოდექსით

⁵⁸ საქმის ნომერი 2კ-83აპ.-18, თარიღი 26/07/2018.

⁵⁹ Keith A. Findley, Adversarial Inquisitions: Rethinking the Search for the Truth, New York Law School Law Review, Vol. 56, No. 911, 2011,4

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მიღებულ იქნა 2009 წლის ცხრა ოქტომბერს, რომელიც ამოქმედდა 2010 წლის ოქტომბერში, ქართულ მართლმსაჯულების სისტემაში მნიშვნელოვანი სიახლეები და ნოვაციური განახლება მოახდინა, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, შეჯიბრებითობის პრინციპი, რომელიც წარმოადგენს ახლებურ ფორმას, სისხლის სამართლის პროცესში.

აღნიშნული მოდელის გადმოღება განხორციელდა, ანგლო-ამერიკული სამართალწარმოებიდან, რომელიც განეკუთვნება, ეგრედწოდებულ კლასიკურ ტიპს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული მახასიათებლები და თავისებურებები, გააჩნია ქართულ მოდელს.

მთავარი მახასიათებელი და დედა აზრი შეჯიბრებითობის პრინციპის, არის ის, რომ მხოლოდ ბრალდების მხარის კომპეტენციას არ წარმოადგენს მტკიცებულებათა მოგროვება, ასევე საჭირო მოწმეთა მოძიება და დაბარება სასამართლოში პრეზენტაციის მოწყობა მთელი რიგი მტკიცებულებების, რომელიც წარდგენილი უნდა იქნეს სასამართლოში.

დაცვისა და ბრალდების მხარეს გამოძიების სტადიაზე თანაბარი პროცესუალური შესაძლებლობები უნდა გააჩნდეთ, მტკიცებულებათა მოსაპოვებლად.

უფლებამოსილება, რომელიც დამცველსა და ბრალდებულს ენიჭებათ, დამოუკიდებლად შეკრიბონ მთელი რიგი მტკიცებულებები, რათა შეძლონ ეფექტურად მოახდინონ ბრალდების გაბათილება.

სასამართლომ, მტკიცებულებები, რომლებიც წარდგენილი იქნება დაცვის მხარის მიერ საქმის მასალეს მტკიცებულებად უნდა დაურთოს, რადგან სასამართლოს მტკიცებულებათა დამოუკიდებელი მოპოვება კანონმდებლობით აკრძალული აქვს, ის უნდა დაეფუძნოს მხარეების მიერ გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

სასამართლოს მთავარი უპირატესობა და ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ დაპირისპირებული მხარეების მიერ მტკიცებულებათა წარდგენის შემდეგ აყალიბებს საკუთარ მოსაზრებას, რომელსაც შემდგომში ნეიტრალური მოსამართლე აფასებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო უზრუნველყოფს თანაბარ მდგომარეობას მხარებს შორის, მათ მიერ წარდგენილი მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ამრიგად შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპი სასამართლოს მხრიდან დაცულია.

შეჯიბრებითობა სისხლის სამართალწარმოებაში პირველ რიგში გულისხმობს მხარის უფლებას მოსმენილი იყოს და ასევე დაცვის, სამართალწარმოების წარმართვის, ბრალდების და მართლმსაჯულებისას მკაფიოდ უნდა მოხდეს გამიჯვნა შესაბამისი ფუნქციების, სადაც მედიატორის როლი ეკისრება სასამართლოს.

ამასთან, მინიმალიზებულია მხარეთა მიერ მოძიებული მტკიცებულებათა შეფასების და შინაარსობრივი მონაწილეობა საქმის გარემოებების გარკვევაში. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია უზენაესი სასამართლოს განმარტება: „ მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა არ გულისხმობს მათთვის მტკიცებულებების წარმოდგენისათვის ზუსტად ერთნაირი დროის მიცემას, რადგან ეს დამოკიდებულია თითოეული მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების რაოდენობაზე, მოცულობასა და სადავობაზე. მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა არ ირღვევა იმ შემთხვევაში, თუ ერთ მხარეს მეტი მტკიცებულება აქვს და, შესაბამისად, მეტი დრო მიეცა მათ წარმოსადგენად. გადამწყვეტია, რომ სასამართლომ თანაბარი შესაძლებლობა მისცეს ორივე მხარეს მტკიცებულებათა გამოსაკვლევად, რაც, ბუნებრივია, მხარის მიერ ამ

უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, თუ ეს პროცესის გაჭიანურებას ისახავს მიზნად, სასამართლომ უნდა აღკვეთოს.⁶⁰

თანაბარ შესაძლებლობას, ეფუძნება მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი რაც გულისხმობს იმას რომ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტების შედეგად, რათა მოხდეს პოზიციათა სასარგებლო და განმამტკიცებელი არგუმენტების წარდგენა. მთავარ მიზანს, აღნიშნული პრინციპის, წარმოადგენს ხელშეწყობა რათა ხელშეწყობა მოხდეს სწორი გადაწყვეტილებების მიღებისთვის, ამისათვის წარმოდგენილი პრინციპი ეფუძნება მხარეთა მიერ არგუმენტების და მტკიცებულებების დაუბრკოლებლად წარდგენის შესაძლებლობას.⁶¹

ჭეშმარიტების დადგენა არ არის ამოსავალი პრინციპი შეჯიბრებითი პროცესის დროს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უგულვებელყოფილია ჭეშმარიტება სისხლის სამართლის მიერ. მთავარი რითაც ჭეშმარიტება დგინდება სისხლის სამართალში, ეს არის დამაჯერებლობაში, ფაქტების უტყუარობაში.

აღნიშნულ მოსაზრებას, თავის ჩანაწერებში მკაფიოდ წარმოაჩენდა ფოსტენ ელი, რომელიც ფრანგი სისხლის სამართლის კლასიკოს მეცნიერთა რიგს განეკუთვნება.⁶² მოსამართლე განაჩენის გამოტანის პროცესში, უნდა ეყრდნობოდეს გონივრულ ეჭვს, რათა გადაწყვეტილება მიღებულ იქნას უტყუარ მტკიცებულებებზე. უტყუარობის პრინციპი ეფუძნება შემდეგ ცნებებს, „შინაგანი რწმენა“ და „შეფასება“, მოსამართლის შინაგანი რწმენა ყალიბდება, მხარეთა მიერ მტკიცებულებათა წარდგენის პროცესში, რაც

⁶⁰ საქმის ნომერი 2კ-106აპ.-17, 17/07/2017.

⁶¹ აქუბარდია ი., შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი. გერმანულქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, DGSTZDEUTSCH-GEORGISCHE STRAFRECHTSZEITSCHRIFT, 2/2016 Einige Aspekte des Parteiprozesses gemäß georgischer StPO

Von Associate-Professor Dr. Irina Aqubardia,

⁶² Fosten, Heile, Traite de l instruction criminelle, ou Theorie du Code d instruction criminelle. En 3.Vol.V.I.Brutelles, 1863, p.5.

მნიშვნელოვნად აყალიბებს მოსამართლის იმ შინაგან ფსიქოემოციურ განწყობას და საქმისადმი მიმართებას, რომლის შედეგადაც საბოლოოდ იღებს გადაწყვეტილებას.⁶³

შეჯიბრებით სამართალწარმოებაში რა სახის ჭეშმარიტების დადგენა არის მნიშვნელოვანი!? საქმის გარემოებათა სრულყოფილი და ობიექტური გამოკვლევის მოთხოვნა, წარმოადგენს ობიექტურობის მთავარ შინაარსს, რომელიც დაფუძნებულია ჭეშმარიტებაზე. ზოგიერთი მკვლევარის თანახმად, არ არის მთავარი გადამწყვეტი მნიშვნელობის ის პრინციპები, რაც შეჯიბრებით სამართალწარმოებაშია დადგენილი, ესეთებად შეგვიძლია მოვიაზროთ „ფაქტების იმგვარად დადგენა, იმ სახით, როგორც მათ ქონდათ ადგილი“, მოქმედებს პრინციპი, რომელიც გულისხმობს ბრალდების მტკიცების წინ წამოწევას, რადგან მთავარი პრინციპები შეჯიბრებითობაში, სწორედ დარწმუნება და მტკიცება არის, სწორედ ამაზე დაყრდნობით დგინდება არა უხეში ფაქტების ნამდვილობა და ჭეშმარიტება, არამედ ჭეშმარიტება, რომელიც წარმოადგენს ეგრედწოდებულ ფორმალურ-იურიდიულ ხასიათს.

3.2 მოსამართლის როლი სასამართლო პროცესზე მხარეთა შეჯიბრებითობისას

ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიღების შემდეგ მოსამართლის აქტიური როლი შეიცვალა შედარებით პასიური როლით და აქამდე სისხლის სამართლის მოსამართლის აქტიური, ინკვიზიციური როლი არბიტრის როლმა ჩაანაცვლა.

⁶³ Смирнов, Александр/Калиновский, Константин, Уголовный процесс, 2008, ст. 66

ამრიგად, სისხლის სამართლის პროცესი დღევანდელი კანონმდებლობით მთლიანად აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც სრულ თავისუფლებას აძლევს მხარეებს.

შეჯიბრებითობის პრინციპის შესახებ აღნიშნულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე - 9 მუხლის პირველ ნაწილში : „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.“⁶⁴ შეჯიბრებითობის პრინციპის არსი ვფიქრობ უკეთ არის ჩამოყალიბებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლში, რომლის მიხედვითაც: „სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.“⁶⁵

როგორც ვხედავთ, როგორც სისხლის სამართალი ასევე სამოქალაქო სამართალი საუბრობს მხარეთა შეჯიბრებითობაზე. რაც თავისთავად გამორიცხავს მოსამართლის აქტიურ როლს ამ პროცესში. მოსამართლის მიერ საქმის გადაწყვეტა მთლიანად დამოკიდებულია მხარეთა შეჯიბრზე. მაგრამ სამოქალაქო სამართლისაგან, ასევე ადმინისტრაციული სამართლისაგან განსხვავებით, სადაც თითქოს მეტნაკლებად მაინც შენარჩუნებულია ინკვიზიციურობის პრინციპი, სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის ძირითადი და შეიძლება ითქვას ერთადერთი

⁶⁴ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი , მუხლი 9.

⁶⁵ საქართველოს სამოსაქაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 4 .

ფუნქცია მხარეების უფლებების დაცვა და მათ მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე გადაწყვეტილების გამოტანაა.

სისხლის სამართლის პროცესის მოსამართლეს არ აქვს უფლება მტკიცებულების მოძიებაში დაეხმაროს მხარეს, ის არის სრულიად ნეიტრალური ფიგურა, რომელმაც გადაწყვეტილება მტკიცებულებათა ერთობლიობით უნდა მიიღოს. მაშინ როდესაც სამოქალაქო სასამართლოს მოსამართლეს აქვს უფლებამოსილება შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები საქმის მომზადების სტადიაზე. ხოლო თუ მხარეები საკუთარი ძალით ვერ შეძლებენ მტკიცებულებათა შეგროვებას, მათი შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოითხოვოს ეს მტკიცებულებები.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლის როლის შეჯიბრებითი პრინციპის განხორციელების პროცესში მაინც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ მოსამართლე განკარგავს პროცესის მიმდინარეობას. მიუხედავად იმისა, რომ არავინ დაობს შეჯიბრებითობის პროცესში მოსამართლის როლის მნიშვნელობაზე, დავის საგანია კონკრეტული მოსამართლის სიძლიერე, კერძოდ რამდენად შეძლებს, რომ ორივე მხარეს თანაბრად მისცეს საკუთარი პოზიციის დაცვის შესაძლებლობა.

სასამართლო ბოლო ეტაპამდე საკუთარ აზრს არ აფიქსირებს, ვფიქრობ ამის საჭიროება არც არსებობს, რადგან სასამართლოს მიზანი, კონკრეტულ საქმეზე დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანაა, მხარეების მიზანი კი მათი ინტერესების დაცვა. სასამართლოს აღნიშნული პოზიცია გამართლებულად მიმაჩნია იმიტომაც, რომ სასამართლო მტკიცების ვალდებულების მქონე სუბიექტი არ არის, რადგან სასამართლოს მტკიცებითი საქმიანობა განსხვავდება დამტკიცების მოვალეობის სუბიექტების საქმიანობისაგან. მტკიცების ტვირთის სუბიექტმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს მტკიცებულებები,

რომლებიც დაადასტურებს ან უარყოფს იმ ფაქტებს, რომლითაც სურს მისთვის სასურველი შედეგი დადგეს. სასამართლოს შემთხვევაში კი ფაქტის დაუმტკიცებლობით რაიმე არახელსაყრელი მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი არ დადგება.

მტკიცებულებათა წარდგენის შემდეგ მოსამართლე მათ აფასებს სამართლებრივად, მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლო დამოუკიდებელია მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების უტყუარობის შეფასებაში.

მტკიცებულებათა შეფასების დროს მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგები, არამედ ზოგადად მთელი სამართალწარმოების განხორციელების შედეგი. მოსამართლე მტკიცებულებათა გამოკვლევისა და სამართალწარმოების ჩატარების შედეგად წყვეტს საკითხს საქმის ფაქტობრივი გარემოებების სისწორისა და უსწორობის შესახებ. მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპის შინაარსი კი იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლო დამოუკიდებელია მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების უტყუარობის შეფასებაში.

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ: სააპელაციო სასამართლოში, სასამართლო გამოძიება ჩატარდა არასრულყოფილად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლისა და მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით. სასამართლომ დაცვის მხარეს უსაფუძვლოდ უთხრა უარი შუამდგომლობის იმ ნაწილის დაკმაყოფილებაზე, რომლითაც იგი ითხოვდა დაცვის მოწმეების, აგრეთვე იმ პირთა სასამართლოში გამოძახებასა და დაკითხვას, რითაც დაირღვა დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირისათვის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა

და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები, უფრო მეტიც: სასამართლომ თავის დადგენილებაში, რომლითაც დაცვის მხარეს უარი უთხრა დაცვის მოწმეების დაკითხვაზე, მიუთითა, რომ აღნიშნული მოწმეებისაგან მსჯავრდებულს დამცველის მიერ ჩამორთმეულ ახსნა-განმარტებებსა და განცხადებებს, რომლებიც დაერთო საქმეს, შეფასება მიეცემოდა განაჩენის დადგენისას, მაგრამ განაჩენში არავითარი მსგავსი შეფასება არ გაკეთებულა და მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებია შეფასებული. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არ შემოწმებულა განსასჯელისა და დამცველის მიერ ბრალდების გასაბათილებელად გამოთქმული მოსაზრებები. სასამართლო გამოძიებისას დაირღვა ასევე ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპები, როგორცაა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი, აგრეთვე უშუალოების პრინციპი. ყოველივე ზემოაღნიშნულმა უარყოფითი გავლენა მოახდინა საქმის ფაქტობრივი გარმოებების სწორად დადგენასა და საბოლოოდ საქმის შედეგზე.⁶⁶ სწორედ ამიტომ სასამართლომ გამოტანილი განაჩენი გააუქმა და დაუბრუნა ქვემდგომ სასამართლოს ხელახლა განსახილველად. სხვა საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ დაირღვა დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირისათვის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები, ასევე ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპი, როგორცაა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი. აღნიშნული კი იმაზე მიუთითებს, რომ არ შემოწმებულა დაცვის მხარის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა საქმის ფაქტობრივი გარმოებების სწორად დადგენასა და საბოლოოდ საქმის შედეგზე.⁶⁷ ამ შემთხვევაშიც საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ქვემდგომ სასამართლოს.

⁶⁶ საქმის ნომერი 23-483აპ.-08, თარიღი 20/10/2008.

⁶⁷ საქმის ნომერი 23-720აპ.-08, თარიღი 24/10/2008.

მტკიცებულებათა შეფასება მოსამართლის აზროვნების პროცესს მოიცავს და ემორჩილება წესებს, რომლებიც სამართლებრივი რეგულირების საგანი არ შეიძლება გახდეს ანუ აქ საუბარია მოსამართლის შინაგან რწმენაზე.

სასამართლო მტკიცება არსებული სინამდვილის შემეცნების პროცესია და მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესის სხვადასხვა მონაწილე სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს, ყველა მათგანის საქმიანობა მიმართულია ერთი მიზნისაკენ გაირკვეს და დადგინდეს განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებები.⁶⁸ მოსამართლე კი ინდივიდუალურად აფასებს წარდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. სწორედ ობიექტური გარემოებები წარმართავს მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებას. ⁶⁹

მიუხედავად აღნიშნულისა, სისხლის სამართლის პროცესში არის საკითხები, სადაც მოსამართლის ფუნქციების გაზრდა აუცილებლობას წარმოადგენს. მოსამართლეს საკუთარი ინიციატივით კითხვის დასმის უფლების არ გააჩნია, რაც რა თქმა უნდა აკნინებს მის როლს. თუ მოსამართლე სისხლის სამართლის პროცესის წარმმართველია, რატომ არ აქვს მას კითხვის დასმის უფლება?! რატომ საჭიროებს ნებართვის აღებას მხარეებისაგან?! - თუმცა ფაქტი ის არის, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად „სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა. მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა. მოსამართლე უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევაში მხარეებთან შეთანხმების შედეგად დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს

⁶⁸ გაგუა ი.; მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში. გამომცემლობა მერიდიანი. 2013, 27

⁶⁹ Hans-Joachim Musielak. Grundkurs ZPO, 2 Auf, 1993, 252.

აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად.⁷⁰ როგორც ვხედავთ პროცესის მიმდინარეობისას კანონმდებელი ფაქტიურად უკრძალავს მოსამართლეს კითხვის დასმის უფლებას და უფრო მეტიც, გარკვეულწილად პროცესის სხვა მონაწილეებზე დამოკიდებულს ხდის.

შესაძლებელია, რომ აღნიშნულ მუხლს გამართებაც მოეძებნოს. მოსამართლის შეკითხვამ შესაძლოა პროცესის მიმდინარეობა სხვა კუთხით წაიყვანოს, ეს კი რა თქმა უნდა ხელს შეუშლის შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვას.

შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნა, მხარეებმა თავად უნდა უზრუნველყონ მტკიცებულებების მოპოვება და სასამართლოში წარდგენა. მტკიცებულების ერთ-ერთი სახეა - ექსპერტის დასკვნა. ექსპერტის მოწვევის უფლება, ისევე როგორც სხვა მტკიცებულებების მოპოვების უფლება აქვთ მხარეებს და არა მოსამართლეს, მაგრამ შესაძლოა პრაქტიკაში იყოს შემთხვევა, როდესაც ბრალდებულს რეალურად აქვს ფსიქიკური პრობლემები, მაგრამ არ აქვს შესაბამისი ფინანსები, რომ მოიწვიოს ექსპერტი, პროკურატურას კი არ აქვს ექსპერტის მოწვევის ვალდებულება (უფლება აქვს). ასეთ შემთხვევაში ბრალდებულის უფლებები არსებითად დაირღვევა. მაშინ როდესაც, სამოქალაქო სასამართლოს მოსამართლეს „ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისას შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტი.“ თუმცა როგორც სამოქალაქო ასევე სისხლის სამართლის პროცესში სამართალსწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით მიმდინარეობს.

ვფიქრობ, მოსამართლეს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ექსპერტის მოწვევის უფლება, სწორედ შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე,

⁷⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 25 .

რადგან მხარეებს შორის არსებული წონასწორობა არ დაირღვეს. ასეთ შემთხვევაში ექსპერტის მოწვევა უნდა მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯით.

ერთ ერთ საქმეზე დაცვის მხარე საქართველოს უზენაეს სასამართლოს თხოვს განაჩენის გაუქმებას და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის გადაცემას, რისთვისაც მიუთითებს შემდეგ მოტივებზე: სასამართლო განხილვა მიმდინარეობდა ცალმხრივად და ტენდენციურად. სასამართლო კოლეგიამ თავის თავზე აიღო ბრალდების ფუნქცია, არ დაიცვა პროცესის აღიარებული შეჯიბრებითობის პრინციპი.⁷¹

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ რომ სასამართლოს პასიური როლი კონკრეტული საქმის განხილვისას მიუღებელია, რადგან არ შეიძლება მოსამართლე მხოლოდ შეჯიბრებითობის შედეგს ენდოს. სასამართლომ უნდა შეძლოს და ყოველგვარი ზეგავლენებისგან თავისუფალმა უხელმძღვანელოს პროცესს, თანამშრომლობა გაუწიოს პროცესის მონაწილეებს უფლებების რეალიზაციაში, შექმნას საქმის გარემოებების დასადგენად და მტკიცებულებათა გამოკვლევისათვის პირობები.

3.3 შეჯიბრებითობის პრინციპის უზრუნველყოფა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში

სისხლის საპროცესო კოდექსში განხორციელდა ცვლილებები 2009 წელს, რომელიც გულისხმობდა ნაფიც მსაჯულთა კლასიკური მოდელის

⁷¹ საქმის ნომერი 2კ-76კოლ.-02, თარიღი 25/12/2001.

დამკვიდრებას სასამართლო სისტემაში. აღნიშნულის თანახმად, მოხდა ფუნქციების გამიჯვნა მოსამართლესა და ნაფიც მსაჯულთა შორის. ნაფიც მსაჯულებს ვერდიქტი გამოაქვთ ბრალდებულის უდანაშაულობის ან დამნაშავეობის შესახებ. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს პასუხისმგებლობის ალებისა და განაწილების მომენტი. რაც შეეხება მოსამართლეს, იგი ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტის საფუძველზე ცნობს დამნაშავედ, რომელიც მოცემულ პირს უფარდებს სასჯელს, ამასთან ერთად განსაზღვრავს და წყვეტს სხვადასხვა სახის საკითხებს.⁷² ნაფიც მსაჯულებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ საქმის განხილვის პროცესში, რა დრისაც მხარეების კომპეტენციასაც და წარმოდგენილ მტკიცებულებათა სიმყარის მიხედვით ხდება ნაფიც მსაჯულთა დარწმუნება და შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანა.⁷³ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დამკვიდრება აქტიური ტემპით დაიწყო 2010 წლის პირველი ოქტომბრიდან, სისხლის სამართლის მძიმე კატეგორიის საქმეებისთვის. ნაფიცი მსაჯულები, რომლებიც არ წარმოადგენენ საქმის მცოდნე პროფესიონალ პირებს, უნდა განსაჯონ და გადაწყვიტონ მკვლევლობაში ბრალდებულთა ბრალეულობის საკითხი. მთავარი აქცენტი ამ შემთხვევაში ნაფიც მსაჯულთა პროფესიონალიზმზე არ მოდის, რადგან თუ ამ კუთხით შევაფასებთ არსებულ საკითხს, მაშინ აღნიშნული ინსტიტუტი აზრს მოკლებულად მოგვეჩვენება. ნაფიც მსაჯულების მოქმედების პრინციპი შინაგან რწმენაზე დაფუძნებული, სინდისიერებაზე, რომელიც ყალიბდება პიროვნების ფსიქოემოციური და სოციალური ურთიერთქმედების შედეგად. ასეთ შემთხვევაში, ადამიანი იშვიათ შემთხვევაში თუ ახერხებს საკუთარი შინაგანი ემოციური და მორალური ფასეულობების წინააღმდეგ წასვლას. ამასთან ნაფიც

⁷² ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში, ადამიანის უფლებათა ქსელი, თბ. 2016, 32

⁷³ მამნიაშვილი მ., გახოკიძე გ., და გაბისონია ი., რედ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, მეორე გამოცემა, თბ., 2013, 89.

მსაჯულთა ინსტიტუტის მთავარი ღირებულებას, პასუხისმგებლობის ტვირთის მოსამართლიდან რიგით მოქალაქეებზე გადაწოდება წარმოადგენს, რაც იძლევა ეფექტურ საშუალებას ისეთ ქვეყნებში, რომლებიც განეკუთვნებიან, გარდამავალი დემოკრატიებს, სადაც კანონის და სამართლის უზენაესობა პრობლემურ საკითხად არის წარმოჩენილი საზოგადოებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი სხვა ყველაფერთან ერთად, კარგ საშუალებას იძლევა გაიზარდოს მოქალაქეთა სამართლებრივი თვითშეგნება და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, შეგვიძლია მივიჩნიოთ, ერთ ერთ ყველაზე გამართლებულ და დემოკრატიულ მოდელად, სადაც ხალხის მონაწილეობა არსებითია. მაგრამ ამავდროულად, გასათვალისწინებელია ის რისკები, რომლებიც თან ახლავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. ადამიანთა გადაწყვეტილებებს და ქმედებებს, განსაზღვრავენ ფაქტებზე დამყარებული მტკიცებულებები, რომლებიც ზემოქმედებენ ადამიანის როგორც ცნობიერ ისე არაცნობიერ ფსიქიკაზე. ეგზალტირებულ ადამიანთა სიმრავლე, იშვიათ შემთხვევაში ღებულობს ობიექტურ გადაწყვეტილებებს, ძირითადად დაფუძნებულია ემოციებზე, ასეთ შემთხვევაში საფრთხე შეცდომის დაშვების მატულობს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში გავრცელებული მოდელებიდან საქართველოში დამკვიდრებული ნაფიც მსაჯულთა კლასიკური მოდელი, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ბოლომდე მაინც არ შეგვიძლია ვთქვათ რომ ბოლომდე კლასიკურ მოდელს განეკუთვნება, რადგან, სხდომაზე შესაძლებელია, რომ მონაწილეობდნენ ნაფიცი მსაჯულებიც, სადაც სასჯელის დანიშვნა უნდა განხორციელდეს, თუ რომელიმე მხარე არ განაცხადებს უარს. ნაფიცი მსაჯულების მიერ გაცემული რეკომენდაციები, მოსამართლისთვის, სავალდებულო სახის შემცველია.

კლასიკური მოდელი, ნაფიცი მსაჯულების მოქმედებს ისეთ ქვეყნებში სადაც არსებობს საერთო სამართლის სისტემები, ამ შემთხვევაში ნაფიც მსაჯულებსა და მოსამართლეებს შორის ფუნქციების მკაცრი გამიჯვნა ხდება. ამ პირობებში, მოსამართლისთვის დატოვებულია სასჯელის განსაზღვრისა და სამართლებრივი საკითხთა განხილვის პროცესუალური საკითხები, მაგრამ მოსამართლე არ წყვეტს პირის ბრალეულობის საკითხს, აღნიშნული ნაფიცი მსაჯულების პრეროგატივას განეკუთვნება.⁷⁴ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობა დაკომპლექტებულია თორმეტი პირისგან, რომლებიც ძირითად შემადგენელ ბირთვს წარმოადგენენ, ხოლო ასევე ორი პირი წარმოდგენილია სათადარიგო მსაჯულად.

უნდა აღინიშნოს, ის ფაქტი, რომ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა განხილვის დროს ექვსზე ნაკლები ნაფიცი მსაჯული არ უნდა ესწრებოდეს, ხოლო მძიმე კატეგორიის შემთხვევაში ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა რვაზე ნაკლები არ უნდა იყოს, ხოლო ათზე ნაკლები განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის შემთხვევაში. ნაფიც მსაჯულებს ვერდიქტი გამოაქვთ ან გამამართლებელი ან გამამტყუნებელი, რაც სავალდებულო ხასიათის მქონეა.

ვერდიქტის მიღების წესს ადგენს 261-ე მუხლი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად. ერთხმად ოთხი საათის განმავლობაში გადაწყვეტილება უნდა მიიღონ მსაჯულებმა. მოსამართლის უფლებამოსილება დადგენილია ამავე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, რომელიც გულისხმობს, მოსამართლის უფლებამოსილებას, ნაფიცი მსაჯულების მიერ გამოტანილი ვერდიქტის

⁷⁴აქუბარდია ი., შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი გერმანულქართულისისხლისსამართლისჟურნალი, DGSTZDEUTSCH-GEORGISCHE STRAFRECHTSZEITSCHRIFT, 2/2016 Einige Aspekte des Parteiprozesses gemäß georgischer StPO

Von Associate-Professor Dr. Irina Aqubardia, Iwane-თბ 2016წელი, გვ13;

გადახედვისა და გაუქმების შესახებ, ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუ გამოტანილი ვერდიქტი წინააღმდეგობაში მოდის მტკიცებულებებთან. აღნიშნული გადაწყვეტილება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსამართლეს შეუძლია მხოლოდ მაშინ მიიღოს, როდესაც ვერდიქტი წარმოადგენს აშკარა წინააღმდეგობას წარმოდგენილ მტკიცებულებებთან. აღნიშნული ჩამკვეტი მექანიზმი, რომელიც სასამართლოს უფლებამოსილებას და ვალდებულებას ანიჭებს, მიიღოს გადაწყვეტილება მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებზე დაფუძნებით.

3.4 შეჯიბრებითობის პრინციპი ანგლო ამერიკულ და კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემაში

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი წინასთან შედარებით ითვალისწინებს შედარებით უფრო მეტ შეჯიბრებითობას, რაც მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სამართლებრივი განსჯისა და პროცესუალური მართლწესრიგის აღსრულებისას. ზოგიერთი მკვლევარის თანახმად, ამ ტიპის სისხლის სამართლის საპროცესო სისტემა, წარმოადგენს „ზედმეტად შეჯერების“.⁷⁵ მკვლევართა უმრავლესობა, აღნიშნავს, რომ, ინგლისურ-ამერიკული მოდელი, ძირითადად ორიენტირებული არის არა ჭეშმარიტების დადგენისკენ არამედ შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით საქმის არსებულ გარემოებებზე და მტკიცებულებებზე დაყრდნობით, დამტკიცებისაკენ. აღნიშნული

⁷⁵ 72Cristine Van Den Wingaert and C.Gane, H.H Kuhne. F. Mcauely. (1993) ევროგაერთიანებისქვეყნებისსისხლისსამართლისსაპროცესოსისტემები. Butterworths. London, Brussels, Dublin, Edinburgh. ქართულითარგმანი. რედ: ნინოგვენეტაძე. გვ. 98.

მოდელის თანახმად, ძირითად ამოსავალ პრინციპს ჭეშმარიტების დადგენა წარმოადგენს, რასაც იზიარებენ, კონტინენტური ევროპის სახელმწიფოები.⁷⁶ ბრალდების მხარეს, საქართველოში, ისევე როგორც აშშ-ში და გაერთიანებულ სამეფოში სახელმწიფო დგას, რათა, გამოძიების ხარჯები და სრულფასოვანი მოკვლევა, უმრავლეს შემთხვევაში შეუძლებელია ბრალდებულის მიერ, რაც არსებით პრობლემად შეიძლება ჩამოყალიბდეს, სწორედ ამ მიზნით, მიჩნეულია, რომ ბრალდების უკან სახელმწიფო უნდა იდგეს, რათა პროცესი დაუბრკოლებლივ წარიმართოს. წინა სასამართლო პროცესისას მოპოვებული მტკიცებულებები, რასაც მხარეები დამოუკიდებლად აგროვებენ, შემდეგ არიან ვალდებულნი გააცნონ ერთმანეთს, რადგან მხოლოდ მხარეთა შორის ბძოლას არ წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესი.⁷⁷ ანგლოსაქსურ სამართლის მიხედვით ზემოხსენებულ ქვეყნებში, ადვოკატს შეუძლია და უფლებამოსილია მონაწილეობდეს მტკიცებულებათა მოძიებაში და გამოთქვას სიტყვა დამცელის ფორმით. ადვოკატს უფლება აქვს წარმოადგენდეს ბრალდების ინტერესები წინასწარი მოკვლევის პროცესში, ასევე სასამართლო ინსტანციაში, სადაც მოწმდება განაჩენის დასაბუთება და მისი კანონიერება. ანგლოსაქსურ ქვეყნებში, კანონმდებლობა უფლებას ანიჭებს ადვოკატებს, კანონიერების ფარგლებში ითანამშრომლონ სხვა ტიპის სპეციალისტებთან და ასევე მიიღონ კერძო დეტექტივის მომსახურება, საქმის მტკიცებულებათა შეგროვების მიზნით, რაც აუცილებელია დაცვის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისა და ხარისხებისათვის.⁷⁸ ანგლოსაქსურ სამართალში, მხარეებს არ აქვთ

⁷⁶ Sanders A. (1994) From Suspect to Trial // The Oxford handbook of Criminology. Oxford. P. 773.

⁷⁷ გუცენკო კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., ავტ. ჯგუფი. 2007, გვ 106

⁷⁸ გუცენკო კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლი სამართლის პროცესი, თბ., ავტ. ჯგუფი. 2007, გვ 118.

ვალდებულება მათ მიერ მოპოვებული მასალების სრულად გაცნობისა, მანამ სანამ საქმის გადაცემა არ მოხდება სასამართლოსთვის.⁷⁹

ზემოაღნიშნულ ქვეყნებში მხარეთა შორის უფლებამოსილებები დარეგულირებულია სამართლებრივად, მაგრამ არათანაბარ მდგომარეობას წარმოშობს მატერიალური მხარე, რაც იწვევს არათანაბრობას, აღნიშნული საკითხი არ წარმოადგენს მხოლოდ ანგლოსაქსურ პრობლემას, იგი მთელი რიგი ქვეყნების მნიშვნელოვან პრობლემად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ბრალდების მხარეს შესწევს უნარი განახორციელოს ისეთი მოქმედებები, როგორც არის სატელეფონო მოსმენა, თვალთვალი, ჩხრეკა, დაპატიმრება და სხვა სახის იძულების ღონისძიებები.

როგორც უკვე აიღნიშნა ბრალდებულს არ ძალუძს წვდომა მსგავს საშუალებებზე. ბრალდებულს შესაძლებლობა აქვს სრულად ქონდეს წვდომა ინფორმაციაზე, რასაც ბრალდების მხარე მოკვლევის პროცესში მოაგროვებს. ბრალდებას ეკისრება მტკიცების ტვირთი, ხოლო ბრალდებულს უფლება აქვს ისარგებლოს დუმილით სამართალწარმოების განმავლობაში.

შეჯიბრებითობის პრინციპი განსხვავდება კონტინენტურ ევროპულ სამართალში, ანგლოამერიკულისგან. აღნიშნულისთვის არის დამახასიათებელი ისეთი მექანიზმები, რომელიც შესაძლებელს ხდის მოსამართლისთვის, საკუთარი უფლებამოსილება გამოიყენოს და თავად ჩამოაყალიბოს საპროცესო მოქმედებების კონკრეტიკა. ანგლოამერიკული მოდელისგან განსხვავებით კონტინენტურ სამართალწარმოებაში, სასამართლო, როგორც არბიტრი არ განიხილება, არამედ სასამართლო მონაწილეობს აქტიურად მტკიცებულებათა მოკვლევაში. კონტინენტური

⁷⁹ გუცენკო კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის

სამართლის პროცესი, თბ., ავტ. ჯგუფი. 2007, გვ 114

სამართლის ქვეყნებში, სადაც დანერგილია აღნიშნული სისტემა მტკიცებულებათა მოგროვება ერთობლივი საქმიანობაა, სადაც ნაკლებ მნიშვნელოვანია სხვადასხვა ორგანოებს შორის კომპეტენციების გამყოფი ხაზების არსებობა. აღნიშნულიდან გამომდინარე საგამომიებო საქმიანობას უძღვებიან საპროკურორო ორგანოები.

ელსნერის და ლუისის ჩანაწერების თანახმად, ყველა კონტინენტურ სამართლის სისტემაში საგამომიებო სისტემის წარმართველად ძირითადად პროკურატურა განიხილება. ორგანიზაციულად დამოუკიდებელი ინსტიტუტებია პოლიცია და პროკურატურა, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან სხვადასხვა სამინისტროს წინაშე. საგამომიებო ფუნქციებიდან გამომდინარე პოლიცია უშუალო კავშირში იმყოფება პროკურატურასთან.⁸⁰

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა წარმოადგენს გარანტირებულ უფლებას, რომელიც შემადგენელია სამართლიანი სასამართლო განხილვის, რაც იძლევა მნიშვნელოვან გარანტიას.⁸¹

სამართლიანი სასამართლოს უფლება მჭიდროდ უკავშირდება მე-6 მუხლს ევროპული კონვენციის, რომლის თანახმადაც ისეთი სპეციალური უფლებებია გარანტირებული, როგორც არის ინფორმაციის მიღების უფლება წარმოდგენილი ბრალდების შინაარსისა და მისი საფუძვლის შესახებ. აქვე გარანტირებულია ისეთი უფლებები, როგორც არის დროის საკმარისობის მომენტი, რაც გულისხმობს საკმარისი დროის არსებობას რათა ბრალდებულმა შეძლოს სრულფასოვნად თავის დაცვა, ასევე უფლება

⁸⁰ ვოგლერი რ., პროკურისა და საგამომიებო ორგანოების ურთიერთმიმართება ორ ანგლოამერიკული სამართლის ქვეყანაში: ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და უელსი, ინგლისი 2017 გვ 6

⁸¹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენცია. რომი, 1950, 54.

დააკითხინონ ან დაკითხოს ბრალდების მოწმეები და დაცვის მოწმეთა დაკითხვა მოხდეს თანაბარ პირობებში.⁸² ასევე ითვალისწინებს სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებული ფორმით მიღებას და სხვა.

ევროპული სასამართლოს თანახმად მხარეთა თანასწორობა გულისხმობს, იმას, რომ მხარეებს უნდა მიეცეთ მტკიცებულებების წარსადგენად გარკვეული შესაძლებლობები, რაც მოწინააღმდეგესთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში არ ჩააყენებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სამართლიანი სასამართლოს არსებით ნაწილად განიხილავს შეჯიბრებითობაზე დამყარებულ პროცესს, ხოლო მოსმენის უფლებას განიხილავს ერთ-ერთ აუცილებელ პირობად, შეჯიბრებითობის ნაწილში. სასამართლო გადაწყვეტილებებზე შეიძლება გავლენის მომხდენი იყოს იმ პირის მოსაზრებები, რომლიც საქმეს განიხილავს.

„არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, უნდა ჰქონდეთ მხარეებს, რომ ყველა მტკიცებულება, მათთვის ცნობილი იყოს რომელიც მათი საჩივრების წარმატებისათვის აუცილებელია, არამედ ასევე იცოდნენ და გააკეთონ კომენტარი სასამართლო გადაწყვეტილებაზე, რომ მოახდინონ ზეგალენა წარდგენილ ყველა წერილობით პასუხზე ან მტკიცებულებაზე.

⁸² ევროპული კონვენციის 6.3(დ) მუხლი.

დასკვნა

სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი არსი სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაა. სიმართლის დადგენა სხვადასხვა სისტემებში სხვადასხვა გზებით ხდება, თუმცა განსახილველ საკითხს წარმოადგენდა მოსამართლის უფლებამოსილება შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში.

კვლევაში შევეცადეთ წარმოგვედგინა შეჯიბრებითი პრინციპის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამ მიზნისათვის შეჯიბრებითი პრინციპის პარალელურად განხილულ იქნა ბრალდებითი პროცესი, სამძებრო (ინკვიზიციური) პროცესი და შერეული პროცესი.

თანამედროვე სამყაროში სამართლებრივი დავების გადაწყვეტა ძირითადად შეჯიბრებითი ან ინკვიზიციური პროცესის საშუალებით ხდება. ორივე მოდელს აქვს როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარეები.

ინკვიზიციურ მოდელში, შეჯიბრებითი მოდელისაგან განსხვავებით სისხლის სამართლის სასამართლო პირადაპირაა საქმის გადაწყვეტაში ჩართული. უფრო გასაგები, რომ იყოს ინკვიზიციური პროცესის მიმდინარეობისას მოსამართლეები თავად აგროვებენ მტკიცებულებებს და თავადვე განსაზღვრავენ საქმეში არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გახსნის წესს. გარდა ამისა ინკვიზიციური პროცესისას მოსამართლეები თავად ნიშნავენ მოწმეებს, ექსპერტებს,

თავადვე კითხავენ და ამის შემდეგ თავადვე განსაზღვრავენ ჩვენების ღირებულებას.

ინკვიზიციური პროცესისაგან განსხვავებით, შეჯიბრებითი პროცესი მთლიანად მხარეების სურვილებსა და მათ გადაწყვეტილებლზეა მინდობილი. თუ ინკვიზიციური პროცესის მიმდინარეობისას, სასამართლო ძალიან და შეიძლება ითქვას ზედმეტად აქტიურად კია, შეჯიბრებითი პროცესის მიმდინარეობისას მოსამართლე პასიურია, მისი როლი მხოლოდ „მსაჯის“ ფუნქციით შემოიფარგლება, ანუ მოსამართლე თავად არ იძიებს მტკიცებულებებს, ის მხოლოდ აფასებს მათ, შესაბამისად მხოლოდ მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით წყვეტს საქმეს.

რაც შეეხება კონკრეტულად საქართველოს, ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიღების შემდეგ მოსამართლის აქტიური როლი შეიცვალა შედარებით პასიური როლით და აქამდე სისხლის სამართლის მოსამართლის აქტიური, ინკვიზიციური როლი არბიტრის როლმა ჩაანაცვლა.

ამრიგად, სისხლის სამართლის პროცესი დღევანდელი კანონმდებლობით მთლიანად აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც სრულ თავისუფლებას აძლევს მხარეებს.

შეჯიბრებითობის პრინციპის შესახებ აღნიშნულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე - 9 მუხლის პირველ ნაწილში : „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.“ მხარეთა შეჯიბრებითობა თავისთავად გამორიცხავს მოსამართლის აქტიურ როლს ამ პროცესში.

სისხლის სამართლის პროცესის მოსამართლეს არ აქვს უფლება მტკიცებულების მოძიებაში დაეხმაროს მხარეს, ის არის სრულიად ნეიტრალური ფიგურა, რომელმაც გადაწყვეტილება კანონისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე უნდა მიიღოს, რა თქმა უნდა მტკიცებულებების გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, მოსამართლის როლის შეჯიბრებითი პრინციპის განხორციელების პროცესში მაინც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ მოსამართლე განკარგავს პროცესის მიმდინარეობას. მიუხედავად იმისა, რომ არავინ დაობს შეჯიბრებითობის პროცესში მოსამართლის როლის მნიშვნელობაზე, დავის საგანია კონკრეტული მოსამართლის სიძლიერე, კერძოდ რამდენად შეძლებს, რომ ორივე მხარეს თანაბრად მისცეს საკუთარი პოზიციის დაცვის შესაძლებლობა.

სასამართლო ბოლო ეტაპამდე საკუთარ აზრს არ აფიქსირებს, ვფიქრობ ამის საჭიროება არც არსებობს, რადგან სასამართლოს მიზანი, კონკრეტულ საქმეზე დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანაა, მხარეების მიზანი კი მათი ინტერესების დაცვა. სასამართლოს აღნიშნული პოზიცია გამართლებულად მიმაჩნია იმიტომაც, რომ სასამართლო მტკიცების ვალდებულების მქონე სუბიექტი არ არის, რადგან სასამართლოს მტკიცებითი საქმიანობა განსხვავდება დამტკიცების მოვალეობის სუბიექტების საქმიანობისაგან. მტკიცების ტვირთის სუბიექტმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს ან უარყოფს იმ ფაქტებს, რომლითაც სურს მისთვის სასურველი შედეგი დადგეს. სასამართლოს შემთხვევაში კი ფაქტის დაუმტკიცებლობით რაიმე არახელსაყრელი მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი არ დადგება.

მტკიცებულებათა წარდგენის შემდეგ მოსამართლე მათ აფასებს სამართლებრივად, ანუ მტკიცებულებათა გამოკვლევისა და

სამართალწარმოების ჩატარების შედეგად წყვეტს იმას თუ რამდენად შეესაბამება არსებული მტკიცებულებები ფაქტობრივი გარემოებების სისწორისა და უსწორობის შესახებ საკითხს. მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლო დამოუკიდებელია მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების უტყუარობის შეფასებაში.

მტკიცებულებათა შეფასება მოსამართლის აზროვნების პროცესს მოიცავს და ემორჩილება წესებს, რომლებიც სამართლებრივი რეგულირების საგანი არ შეიძლება გახდეს ანუ აქ საუბარია მოსამართლის შინაგან რწმენაზე.

სასამართლო მტკიცება არსებული სინამდვილის შემეცნების პროცესია და მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესის სხვადასხვა მონაწილე სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს, ყველა მათგანის საქმიანობა მიმართულია ერთი მიზნისაკენ გაირკვეს და დადგინდეს განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებები. მოსამართლე ინდივიდუალურად აფასებს წარდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. სწორედ ობიექტური გარემოებები წარმართავს მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებას.

მიუხედავად აღნიშნულისა, სისხლის სამართლის პროცესში არის საკითხები, სადაც მოსამართლის ფუნქციების გაზრდა აუცილებლობას წარმოადგენს. მოსამართლეს საკუთარი ინიციატივით კითხვის დასმის უფლების არ გააჩნია, რაც რა თქმა უნდა აკნინებს მის როლს. თუ მოსამართლე სისხლის სამართლის პროცესის წარმმართველია, რატომ არ აქვს მას კითხვის დასმის უფლება? რატომ საჭიროებს ნებართვის აღებას მხარეებისაგან? - თუმცა ფაქტი ის არის, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25 -ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად „სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და

გამოკვლევა. მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა. მოსამართლე უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევაში მხარეებთან შეთანხმების შედეგად დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად.“ როგორც ვხედავთ პროცესის მიმდინარეობისას კანონმდებელი ფაქტიურად უკრძალავს მოსამართლეს კითხვის დასმის უფლებას და უფრო მეტიც, გარკვეულწილად პროცესის სხვა მონაწილეებზე დამოკიდებულს ხდის.

ზემოთ უკვე აღნიშნა, მხარეებმა თავად უნდა უზრუნველყონ მტკიცებულებების მოპოვება და სასამართლოში წარდგენა. მტკიცებულების ერთ-ერთი სახეა - ექსპერტის დასკვნა. ექსპერტის მოწვევის უფლება, ისევე როგორც სხვა მტკიცებულებების მოპოვების უფლება აქვთ მხარეებს და არა მოსამართლეს, მაგრამ შესაძლოა პრაქტიკაში იყოს შემთხვევა, როდესაც ბრალდებულს რეალურად აქვს ფსიქიკური პრობლემები, მაგრამ არ აქვს შესაბამისი ფინანსები, რომ მოიწვიოს ექსპერტი, პროკურატურას კი არ აქვს ექსპერტის მოწვევის ვალდებულება (უფლება აქვს). ასეთ შემთხვევაში ბრალდებულის უფლებები არსებითად დაირღვევა.

ვფიქრობ, მოსამართლეს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ექსპერტის მოწვევის უფლება, სწორედ შეჯობრებითობის პრინციპის საფუძველზე, რადგან მხარეებს შორის არსებული წონასწორობა არ დაირღვეს. ასეთ შემთხვევაში ექსპერტის მოწვევა უნდა მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ რომ სასამართლოს პასიური როლი კონკრეტული საქმის განხილვისას მიუღებელია, რადგან არ შეიძლება მოსამართლე მხოლოდ შეჯობრებითობის შედეგს ენდოს. სასამართლომ უნდა შეძლოს და

ყოველგვარი ზეგავლენებისგან თავისუფალმა უხელმძღვანელოს პროცესს, თანამშრომლობა გაუწიოს პროცესის მონაწილეებს უფლებების რეალიზაციაში, შექმნას საქმის გარემოებების დასადგენად და მტკიცებულებათა გამოკვლევისათვის პირობები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აქუბარდია ი., შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი. გერმანულ ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, DGSTZDEUTSCH-GEORGISCHE STRAFRECHTSZEITSCHRIFT, 2/2016 Einige Aspekte des Parteiprozesses gemäß georgischer StPO Von Associate-Professor Dr. Irina Aqubardia, Fosten, Heile, Traite de l instruction criminelle, ou Theorie du Code d instruction criminelle. En 3.Vol.V.I.Brutelles, 1863.
2. ბენიძე დ., შეჯიბრებითობის თავისებურება ბრალდებით და სამძებრო (ინკვიზიციური) ტიპის პროცესში. თბილისი 2010წ.
3. გაგუა ი.; მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში. გამომცემლობა მერიდიანი. 2013.
4. გუცენკო კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007.
5. გვენეტაძე ნ. (რედ) ევრო გაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები. Butterworths. London, Brussels, Dublin, Edinburgh. ქართული თარგმანი.
6. ვოგლერი რ., პროკურორისა და საგამომძიებო ორგანოების ურთიერთმიმართება ორ ანგლოამერიკული სამართლის ქვეყანაში: ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და უელსი, ინგლისი 2017.

7. ლეკვეიშვილის მ. 85 წლის საიუბილეო კრებულში, გამომცემელი „იურისტების სამყარო“ 2017.
8. მამნიაშვილი მ., გახოკიძე გ., და გაბისონია ი., რედ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, მეორე გამოცემა, თბ., 2013.
9. ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში, ადამიანის უფლებათა ქსელი, თბ. 2016.

უცხოენოვანი ლიტერატურა

1. Sanders A. (1994) From Suspect to Trial // The Oxford handbook of Criminology. Oxford.
2. ALEMAN v. THE HONORABLE JUDGES OF THE CIRCUIT COURT OF COOK COUNTY, March 06, 1998.
3. Erin C. Blondel, Victims' Rights in an Adversary System, Duke Law Journal, Vol. 58, No. 2, 2008.
4. Bruno Deffains and Dominique Demougin, The inquisitorial and the adversarial procedure in a criminal court setting, Journal of Institutional and Theoretical Economics. 2008.
5. Thomas Weigend, Should We Search for the Truth, and Who Should Do It, North Carolina Journal of International Law and Commercial Regulation, Vol. 36, No. 2, 2011.
6. Cesare Beccaria, Of Crimes and Punishments, in Alessandro Manzoni, The Column of Infamy. London: Oxford University Press, 1964.
7. Weigend T., Rechtsvergleichende Bemerkungen zur Wahrheitssuche im Strafverfahren, Festschrift für Ruth Rissing-van Saan zum 65, Geburtstag am 25, Januar 2011.
8. The Constitution of the United States, art. III, sec. 2 (1), - <https://constitutionus.com/>

9. William van Caenegem, Advantages and disadvantages of the adversarial system in criminal proceedings, Bond University, 1999.
10. Keith A. Findley, Adversarial Inquisitions: Rethinking the Search for the Truth, New York Law School Law Review, Vol. 56, No. 911, 2011, p. 18-19,
11. Marvin E. Frankel, The Search for Truth: An Umpireal View, American Law Register, Vol. 123, No. 5, 1975.
12. Bruno Deffains and Dominique Demougin, The inquisitorial and the adversarial procedure in a criminal court setting, Journal of Institutional and Theoretical Economics (JITE), 2008.
13. Robert P. Mosteller, Failures of the American Adversarial System to Protect the Innocent and Conceptual Advantages in the Inquisitorial Design for Investigative Fairness, North Carolina Journal of International Law and Commercial Regulation, Vol. 36, No. 2, 2011.
14. Richard M. Fraher, "IV Lateran's Revolution in Criminal Procedure: the Birth of inquisitio, the End of Ordeals and Innocent III's Vision of Ecclesiastical Politics", in Studia in honorem eminentissimi cardinalis Alphonsi M. Stickler, ed. Rosalius Josephus Castillo Lara. Rome: Salesian Pontifical University. 1992.
15. Cristine Van Den Wingaert and C.Gane, H.H Kuhne. F. Mcauely. 1993.
16. Hans-Joachim Musielak. Grundkurs ZPO, 2 Auf, 1993.
17. S.V. Zuev, K.I. Sutyagin, CRIMINAL PROCESS, Chelyabinsk Publishing Center SUSU, 2016.
18. Смирнов А. В. Модели уголовного процесса. СПб., 2001
19. Чельцов-Бebutov М. А. Очерки по истории суда и уголовного процесса в рабовладельческих, феодальных и буржуазных государствах. Т. 1. М., 1957

20. Мещеряков Ю. В. Формы уголовного судопроизводства. Л., 1990, 65-66.
21. Фойницкий И. Я. Курс уголовного судопроизводства. Т. 1., СПб., (Переиздание 1996 года)
22. Полянский Н. Н. Уголовное право и уголовный суд Англии. М., 1969.
23. Смирнов А. В. Модели уголовного процесса. СПб., 2001, 125.
24. Смирнов, Александр/Калиновский, Константин, Уголовный процесс, 2008.

ნორმატიული მასალა და სასამართლო გადაწყვეტილებები

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 22/07/1999.
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 09/10/2009.
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 14/11/1997.
4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენცია. რომი, 1950.
5. MATYTSINA რუსეთის წინააღმდეგ, 2014 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება, პარ. 153
6. BRICMONT ბელგიის წინააღმდეგ, 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, პარ. 81.
7. ფინეთის წინააღმდეგ, 2002 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, იხ. აგრეთვე MATYTSINA რუსეთის წინააღმდეგ, 2014 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება, პარ. 153
8. Al-Khawaja და Tahery გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 2011 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება.

9. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ბელზიუკი პოლონეთის წინააღმდეგ“ (Belziuk v. Poland), N45/1997/829/1035, 25/03/1998, §37.
10. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „დამბო ბიჰიერი ბ.ვ. ნიდერლანდების წინააღმდეგ“ (Dombo Beheer B.V. v. the Netherlands), N14448/88, 27/10/1993, §33
11. საქმის ნომერი 2კ-166აპ.-18, თარიღი 18/07/2018.
12. საქმის ნომერი 2კ-640აპ.-17, თარიღი 30/04/2018.
13. საქმის ნომერი 2კ-83აპ.-18, თარიღი 26/07/2018.
14. საქმის ნომერი 2კ-106აპ.-17, 17/07/2017.
15. საქმის ნომერი 2კ-76კოლ.-02, თარიღი 25/12/2001
16. საქმის ნომერი 2კ-483აპ.-08, თარიღი 20/10/2008.